



№ 12



მოსკოლისათვის — დეკემბერი

1910



შინაარსი:

I—საშობაო იმბავი, — ლექსი, (თქმულება) ვაჟა-ფშაველასა . . .	3
II—საბედას დღესასწაული, — განდევნილისა	9
III—ციცო, — (დასასრული) ანასტასიას კრისტოფ-ხოშტარასა . . .	15
IV—ბუნების წიაღზე, — ვაჟა-ფშაველასა	33
V—სიყვარული, — (ძველი თქმულება) თეო კანდელაკისა	40
VI—სურათი, — ლექსი, გ. ქუჩიშვილისა	44
VII—დიდების მძიებელი, — ელო შანშიაშვილისა	45
VIII—ცხრა წყაროზე, — შალვა ტატიშვილისა	49
IX—სინათლე და მისი მნიშვნელობა, — ა. შოსტაშვილისა . . .	52
X—შექმდე, — (იგავი) ად. შირიანაშვილისა	62
XI—რებუსი და აღსნა	63

ნაპად უღი

საქმანვეთილ უზრუნალი

წილიანი მამკესი



დამკმხეი, 1910 წ.



ღვთის მშობელი.—სურათი კაულბახისა.

შინაარსი:


I—საზობაო ამბავი, — ლექსი, (თქმულება) ვაჟა-ფშაველასი . . .	3
II—საბედას დღესასწაული, — განდგეგადისა	9
III—ციცო, — (დასასრული) ანასტასია ერისთავ-ხოშტარასი . .	15
IV—ბუნების წიაღზე, — ვაჟა-ფშაველასი	33
V—სიყვარული, — (ძველი თქმულება) თეო კანდელაკისა . . .	40
VI—სურათი, — ლექსი, გ. ქუჩიშვილისა	44
VII—დიდების მამიებელი, — ელო შანშიაშვილისა	45
VIII—ცხრა წყაროზე, — შალვა ტატიშვილისა	49
IX—სინათლე და მისი მნიშვნელობა, — ი. მოსკოვილისა . . .	52
X—მეჭუდე, — (იგავი) ზღ. შირიანაშვილისა	62
XI—რებუსი და აღსნა	63



საზოგაო აზგავი.

(თქმულება)

†



არიბი არი გეგენა,
როგორც ზამთარში მინდორი,
რომ ცოლ-შვილს პური აქამოს
შეძლება არ აქვს იმდონი.
ჩაცმაზე ვინლა რას იტყვის?
ტანზე აცვიათ კონკები
ცოლსა და შვილებს ერთგვარად
სანაგვეს მონაპოვები.
ხარი არა ჰყავს, არც ფური,
თითქმის არც ერთი ქათამი;
სახლში არ უჩანთ არც ქვაბი,
არც საფხეველი¹⁾),—ისტამი²⁾

¹⁾ რკინის პატარა ნიჩაბი ცომის მოსაფხევი ვარცლში.

²⁾ მოზრდილი რკინის ნიჩაბი, კეცის პურზე ნაცრის დასაყრელად სახმარი.



ქართული
ენების მეცნიერებათა
აკადემია

და ქობს გადახრილს გვერდზედა
ხელს ახლებ, გააქვ თამთამი.
დღიურის ნამუშავეართ
იგი სულს უდგამს ცოლ-შვილსა.
წამს მოსვენება არა აქვს
გეგენას წელში მოხრილსა.
კოდვას არ იზამს არაფერს:
ღმერთი აშინებს ძალიან,
ლოცულობს გულ-მხურვალებდა,
დროს რომ იხელთებს,— სცალიან.
ღარიბებისა ღვთის მიმართ
მას ესმის აურ-ზაური;
თვით არ ემდურის, თუნდ წლამდე
ვერსად იშოვოს შაური.

II

ხვალ შობა არი, სოფელში
მზადება, ფაცა-ფუცია:
ყველა იმას ჰკლავს, რის დაკვლაც
სოფლის კაცს გულში უძია.
სამუდამოდა ღორს თუ ცხვარს
ბევრს თვალი დაუხუჭია.
ღიასახლოებს უპყრიათ
ხელში ბატ-ქათმის კუჭია.
გეგენა ოჯახობითურ
მიყუჩებულა, მუნჯია:
რა დაკლან, რა გამოაცხონ,
როს ბედი მათთვის ძუნწია?!
ცეცხლი უნთიათ კერაზე,
ზედ უძვეს დიდი კუნძია.
მკადი თუ ექნათ ხვალისთვის
და ზედაც წყალი სასმელად,



ღმერთს შესწირავენ მადლობას,
 არაფერი აქვთ სათქმელად.
 დაღამდა. თონაც დაიწყო;
 ქარისა ისმის ზუილი;
 ასკდება ჩამოვარდნილი
 ქარიდან მგლების ღმუილი
 ქოხის კედლებს და კერასა,
 როგორც საქონლის ზმუილი.
 იქ საქონელსა რა უნდა—
 ოცნება არი ტყუილი! .
 ცეცხლის ალიცა ბარბაცებს
 მთვრალივით აქეთ-იქითა,
 თითქოს უსვია კახური
 ჯიხვით და არა კიკითა.

III

გარედან ისმის ძახილი,
 არაკუნებენ კარებსა:
 „მომხედეთ, კაცი ვინა ხართ,
 უმწეოს, შესაბრალებსა“!
 გეგენამ კარი გააღო,
 გაიციქრება გარეთა;
 წინ უდგას ვილაც გლახაკი,
 დაღონებული მწარედა.
 ყელს უწევს, ემუდარება:
 „მგზავრი ვარ შორის გზიდანა,
 მისტუმრე, აგრემც უფალი
 წყალობას მოგცემს ციდანა;
 სასმელ-საქმელი არ მინდა,
 ოღონდაც მქონდეს საფარი,—
 ოღონდაც გავთბე ცეცხლზედა,
 მგზავრობა გადმონაყარი“.

— მობძანდი, შენი კირიმე,
ვაჰმე, მომიკვდა თავია!



სტუმრის მიღება სახლშია
ეგრეც თუ ძნელი არია?!
მობძანდი, ძმაო, მობძანდი!—
ებლაუქება გეგენა,
წინ მიუძღვება ცეცხლისკენ,
თან მგზავრი მიჰყავს ნელ-ნელა.
— ლარიბ-ლარტაკი კაცი ვარ,
გული კი ღმერთმა იცოდეს!
ვინ არის, გულის პასუხსა
კაცისას გამოიცნობდეს?
მცხვენიან, რა ვქნა, რა გიყო?
რით გიმასპინძლო ან კია?
ძირს რა დაგიგო? დაგხურო?—



სთქვა, თავი გადაარწია.
 „რაღა სწუხდები, მეც თავად,
 მხედავ, კაცი ვარ გლახაო,
 მარტო ცეცხლზე რომ გამათბო,
 სიკეთედ დაგინახაო,
 დიდ სიკეთედა. ნუ ამბობ,
 რა სათქმელია ვგაო,
 ბოდის მოხდა მეტია,
 შენს სარჩოს თვალით ვხედაო.“
 უთბრა პასუხად სტუმარმა,
 კენესით ჩამოჯდა კერაზე:
 „ცეცხლი ამ სიცივეშია
 საამურია ყველაზე;
 გარედ სიცივე მომკლავდა,
 ეს ჩემთვის დიდი შადლია.
 ბედნიერი ვარ ფრიადა,
 მე არაფერი მაკლია.
 გეგენა იხდის ფარაჯას,
 ბეჭებზე ახვევს სტუმარსა,
 სკუქკავს და თავზე ევლება
 თავ-დაკიდებულს, მღუმარსა.
 თუმც მეტის ლოლიობისთვის
 გლახაკი ეტყვის მღურვასა
 ყველა—დიდი და პატარა—
 ოჯახის უფროსს ჰბაძავენ
 და არ იციან, ვით დაჰხდნენ,
 სტუმარს ღმერთადა ჰსახავენ:
 ერთი ფეხებს ჰხდის, მეორე
 უფრო თბილს ადგილს უმარჯვებს
 და, თუ რამ მოეპოვება,
 მხრებზე გასათბობს უმატებს.
 ღმერთმა გიშველოსთ, ჩემ ნაცვლად

იქნებ მან მოგცესთ წყალობა,
 ვევედრი, თქვენს საწყლობასა
 მან გაუწიოს წამლობა“.

თავად თუმც კშიანთ, მაგრამა
 მჭადი სულ სტუმარს მოართვეს
 და უხარიან ყველასა—

მშიერი კაცი გააძღეს.

შემდეგ მის მოსასვენებლად
 თბილი ლოგინი გააწყვეს.

თავად-კი მშიერები დაწუნენ,
 რა გადიწერეს პირ-ჯვარი.

ეძინათ, ვიდრე განთიადს
 თან მოჰყვებოდა ცისკარი.

IV

პირველად გეგენა აღგა

და გადაქექა ნაცარი,

ცეცხლისა შესანახადა

ნაკვერჩხლებზედა ნაყარი.

დაანთო ცეცხლი. განათდა

ქობი და, ქობში რაც არი;

გაოცდა მეტის-მეტადა,

სურათი ნახა საზარი.

იმის ქობისა კედლები

თეთრია, როგორც საყდარი,


საესეა სანოვაგითა;

რასაც ინატრებ, აქ არი.

მაგრამ ლოგინში სტუმარი,

უყურებს, აღარსად არი!...

ვაჟა-ფშაველა





საბედას დღესასწაული.

პატარა საბეაა ობოლი იყო. მამა რუსეთ-იაპონიის ომში წაყვანათ და არავინ იცოდა, კოცხალი იყო თუ მკვდარი. დედა კი ცხელებამ მოუკლა. დარჩა ორი ბავშვი უპატრონოდ: საბედა და იმისი უფროსი ძმა დათო, რომელიც ბიძამ ერთს ვაჟართან დააყენა დუქანში იმ იმედით, რომ იქნება ვაჭრობისა ისწავლოს რამეო. დედის სიკვდილის შემდეგ, ოთხის წლის ობოლი საბედა ერთმა მახლობლად მცხოვრებმა ოჯახმა შეიფარა. იმის დედ-მამას ეს ოჯახი აღრევე იცნობდა, რადგან საბედას მამა ერთ დროს მეფხოვედ ჰყავდათ და იცოდნენ მისი ამბავი. რადგანაც ბავშვებიც შეჩვეულნი იყვნენ საბედასთან, ამიტომ უფრო იტვირთეს ობლის პატრონობა. იმედი ჰქონდათ, ბავშვებსაც გაართობსო, მაგრამ წინანდელს მზიარულსა და ცქვიტს საბედას ჩვეულებრივი სიმაღლაზე მოაკლდა.

საოცრად გამოიცვალა პატარა გოგონა. აღარც ბავშვების თამაშობაში იღებდა მონაწილეობას, არც მათს მზიარუ-



ლებში. თუ ეტყოდნენ — საბედა გაჰყევი ბავშვებსა და გაჰყევი, თუ არა — მიჯდებოდა სადმე კუთხეში და ისე დააღამებდა მთელ დღეს, ხმას არ ამოიღებდა. კამა რა არის, კამაც კი არ მოაგონდებოდა ხოლმე საბედას.

ყველა გაკვირვებული იყო, ეს ცელქი და მოუსვენარი გოგო ასე მუნჯად რამ აქციაო. პირველ ხანებში ეგონათ, ჯერ უჩვევია და ეუცხოვება სხვის სახლში ყოფნა, შეეჩვევა და გულს გადაიყრისო, მაგრამ გავიდა თვეები, წელიწადი, მეორე და საბედას ბავშურის ხალისიანობისა არა ეტყობოდა-რა.

— რას ჩაუიქრებულხარ, საბედა, ჰა? — შეეკითხებოდნენ ხან მოსამსახურეები, ხან ბატონები.

— არაფერსაო, — იყო ხოლმე საბედას პასუხი.

საბედა ჩამოხმა, ჩამოყვითლდა, თვალეში წყალი მოაკლდა, სახეზე ღიმილი აღარ უთამაშებდა. ერთად ერთი წუთი, როდესაც საბედას სახეს სიხარულის სხივი მიეფინებოდა, — მაშინ იყო, როცა კვირაობით იმისი ძმა დათო მოვიდოდა დის სანახავად. მაშინ საბედა თვალს არ აშორებდა ძმას, თითქოს ვილაკის ხატებას ჰხედავდა მასში; მშობლებს კი არასოდეს არ ახსენებდა.

დიდსა და პატარას — ყველას ებრალებოდა პატარა გოგონა და სკდილობდნენ, გულჩათხრობილი ბავშვი არაფრით შეეწუხებინათ.

შობის წინა ღამე იყო. მთელი ოჯახი ფუსფუსებდა. დიასახლისი შობის ხესა რთავდა ბავშვებისათვის.

— საბედო, წამო, ნახე, რამდენი რა გვაქვს შობის ხისათვის! წამო, წამო!.. — დაუძახეს ბავშვებმა კუთხეში ჩუმად მდგომს საბედას.

— მართლა?!. აი, მოვდივარ! — ნაძალადევის სიხარულით გამოეხმაურა საბედა ბავშვებს და გაჰყვა.

— აი, საბედო, ეს დიდი უუთი ჯერ კიდევ ხელუხლებელია. ამაებსაც რომ ჩამოვიკიდებთ, მაშინ ხომ მშვენიერო-

ბა იქნება... გავაჩაღებთ და ჰერი ჰა!..—ილტაცებით ვაძვრებდნენ ბავშვები და თან ხელში შესჩერებოდნენ დედას, რომელიც რიგ-რიგად და შეხამებით რთავდა დიდრონ ტოტებს გადაშლილს ნაძვის ხეს.

— საბედა, შენც ასე ლამაზად გირთავდნენ შობის ხეს? — შეეკითხა ბატონის უფროსი ქალი თინა.

— არა!..—ნაღვლიანად უპასუხა საბედამ და თვალები ცრემლებით აევსო.

— აი, ეხლა უფრო კარგად გავატარებთ დროს. რასა სტირი?—ჩაეკითხა თინა და გაკვირვებით შეაშტერდა საბედას.

— არაფერს... ძლივს გასაგონის ხმით მიუგო საბედამ და პირი იბრუნა.

— დედილო, საბედასაც ხომ ბლომად ერგება შობის ხის საჩუქრები?—შეეკითხა მეორე ბავშვი დედას.

— რასაკვირველია. მაგას თქვენზე მეტიც ერგება, რადგან თქვენზე უფრო დინჯი და კვეიანია,—დაეთანხმა დედა.

ბავშვები სიხარულით ცას ეწეოდნენ, რომ ასე მშვენივრად მორთული შობის ხე ექნებოდათ, ერთი მეორეს უთითებდა და აჩვენებდა სხვა და სხვა ბრჭყვიალა საგანს.

დიდხანს იშხიარულეს პატარებმა. ბოლოს ყველა დასაძინებლად წაიყვანეს. წავიდა საბედაც.

ბავშვების საწოლ ოთახის ერთს კუთხეში, კარებისაკენ, ტახტი იყო მიდგმული საბედას ლოგინით. იქვე, სასთუმალს ახლო, ხის სკივრი იდგა, იმის ზემოდ—ლურსმანზე ჩამოკიდებული იყო საბედას სუფთად დარეცხილი და დაუთოვებული ტანისამოსი.

სკივრი თითქმის სავსე ჰქონდა საბედას. სულ ქვემოდ, კრელ ჩითის ბოხჩაში ლამაზად ჩაკეცილი ჰქონდა თავის დედის კაბა ზედა ტანით, ათასნაირად დაკერებული ძველი ჩულქები, თავმოსახვევი და ხელათამანები. ბოხჩაშივე შენახული ჰქონდა შორ-აღმოსავლეთიდან მოსული მამის ორი წერილი თავის ცოლთან. ერთი ამ ორ წერილთაგანი დიდხანს იყო

გაუხსნელი და წაუკეთხავი. ეს წერილი სწორედ იმ დღეს მოიტანა ფოსტალიონმა, როდესაც საბედის დედა, მოკლებული ცხოვრების ყოველ საღისარს, დილა აღრიან სამუშაოდ წავიდა თამბაქოს ერთ-ერთს ქარხანაში, სადაც დღეში შვიდ შაურს იღებდა. ამ დღიდან საბედის აღარ უნახავს თავისი მოყვარული, კეთილი დედა, რადგან ქარხნიდან პირდაპირ სამკურნალოში ამოჰყო თავი უპატრონო დედაცაა და იქვე დალია სული.

საბედა სასოებით უვლიდა და უფრთხილდებოდა ამ სკივრს, ამ დედის ხელ-მონაღლებ ძვირფას საუნჯეს. იშვიათი იყო ისეთი კვირა, რომ საბედის თავისი სკივრი არ ამოვლავებინა. ჯერ ამოაწყობდა ზემოდან დაღაგებულს სასწავლო წიგნებს, შერე თავის საცვლებს და ბოლოს... ბოლოს ამოიღებდა კრელ ბოხჩას... არავინ იცოდა, რად უყვარდა საბედის ასე ამ სკივრის ამოღებება, მხოლოდ იმის-კი მოჰკრეს ერთხელ თვალი, რომ ბავშვი, რაღაც შავ ფალასში თავჩარგული, მდუღარე ცრემლს აფრქვევდა და ქვითინებდა. ეს ამბავი ჩუმად შეატყობინა ბავშვების გამდელმა თავის ქალბატონს და მას შემდეგ კიდევ უფრო სიბრაღული და სიყვარული აღძრა ობოლმა ყველას გულში.

ბავშვები უკვე დიდის ხნის დაძინებულნი იყვნენ. დიდრონები-კი ისევ საფახშმო სუფრას უსხდნენ. შუალამე გადასული იყო, მაგრამ აღიღოს მწყობრი ხმა კიდევ ისმოდა აქა-იქ. ყველა სიხარულით ეგებებოდა ქრისტეს შობას. მართო საბედა იყო გულ-ჩათხრობილი და გარინდებული. მის თვალს ძილი არ ეკარებოდა. მართალია, ამ ორის წლის განმავლობაში სიყვარულისა და აღერსის მეტი არაფერი უნახავს, მაგრამ პატარას შაინც მწარედ სტანჯავდა ობლობა, მშობლის კერის უქონლობა. ერთად-ერთი მისი სიხარული ის იყო, რომ სწავლაში ბეჯითობა გამოიჩინა და ამით თითქოს შეასრულა დედის სურვილი, რომელიც ხშირად ეტყოდა ხოლმე: „თუ ვიცოცხლე, წიგნს გასწავლიო“.



საბედამ რამდენჯერმე გადაჰხედა ბავშვებსა და გამდნულს, სძინავთ თუ არაო. როცა დარწმუნდა, რომ ყველა გულის ძილში იყო, ფრთხილად წამოადგა, დაიჩოქა ღვთისმშობლის ხატის წინ და გულმზურვალედ დაიწყო ლოცვა. დიდხანს იყო პატარა გოგონა დაჩოქილი, გულზე ხელებ-დაკრეფილი და ღვთისმშობლის ხატისაკენ თვალეზ აპყრობილი. შუალამის მყუდროებაში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გაისმა ბავშვისა: „ჩემო საყვარელო ქრისტე, აკი შენ გააცოცხლე ლაზაოე“!. ხატის წინ ოდნავ მბეჭუტავა ლამპარმა უცბად რამდენჯერმე აამაღლა თავისი ალი, ჩააშუქა დაჩოქილს ბავშვს და ბრილიანტებივით აუციმციმა თვალთაგან გადმოჩადენი ცრემლები. საბედა საჩქაროდ წამოადგა და ფეხ-აკრეფითვე წავიდა თავის საწოლისაკენ...

II

გათენდა შობა დილა. თოვლის ნაფერთლები საამუჟრად ეფინებოდა დედა-მიწას. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შინ მშვენივრად მორთული შობის ხე და გარედ— დიდებულად მოფრიალედ ნაფერთლები თოვლისა, თან ბელურების ხტუნვა-ნა ვარდი და ცელქობა თვალსა და გულს უტყვევებდა პატარებს. ორი უმცროსი ბავშვი საჩქაროდ შესკუბდნენ თანჯარაზე და შორიდან დაუწყეს აღერსი ციდან



ბამბის ქულებივით მომავალს თოვლს, უფროსი, თუნაქუდს ხაჟი
ბედა-კი ფანჯარას შიადგნენ. ბ ი ბ ლ ი მ ი მ ა

— საბედო, გამო, შენი ძმა დათო მოვიდა. რაღაც ძალიან გახარებულია და შენ გეძახის, ჩქარა გამოვიდესო. — შემოილაპარაკა ახლად შემოსულმა გამდელმა.

— მართლა?! — სიხარულით წამოიძახა საბედამ და ელვის სისწრაფით ვაეჭანა კარებისაკენ...

აივანზე, კარებს ახლო, გაჩერებული იყო თავპირზე ყაბალახ მოხვეული დათო, რომელსაც გამოუთქმელ სიხარულისა და ბედნიერების სხივი უელავდა თვალეში. იქით კი, ცოტა მოშორებით, კიბის ახლო, სვეტთან, გაჩერებული იყო ვიღაც ფერ-მკრთალი და დაღონებული კაცი ცრემლით აღსავსე თვალეებით, უბრალო რუსის ფარაჯაში გახვეული, და ხარბად მისჩერებოდა სახლის კარებს, საიდანაც პატარა საბედა უნდა გამოსულიყო.

— უცბად კარები გაიღო და გახარებული საბედა ყელზე მოეხვია თავის ძმას...

— იცი, საბედო, მამა მოვიდა, აი, მამა! — და ხელი გაუშვირა დათომ ფარაჯიან კაცისაკენ.


— მამა?!. სადა?!. — გიყვივით წამოიძახა საბედამ და ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა, მაგრამ ისევ შესდგა და წარბ-შეყრით აშხედა ფარაჯიანს კაცს.

— ველარ მიცანი, შეილო? — აღელვებითა სთქვა საბედას მამამ და მიუახლოვდა შეილს. — მოდი, გენაცვალოს მამა, მოდი თვალის ჩინო... — ცრემლ-მორეულმა სთქვა ფარაჯაში გახვეულმა კაცმა და ხელში აიყვანა შემკრთალი საბედა.

მხოლოდ ხმაზედ-ლა იცნო პატარამ თავისი დიდის ხნის უნახავი მამა, ერთი განწირულის ხმით დაიწვილა — მამაო! — და ღონე-მიხდლილი მიეყრდნო იმის მზისა და ყინვისაგან დარულს კისერს.

მთელი სახლი აატირა ამ სანახაობამ. სტიროდა მამა, სტიროდნენ აქამდე ობლად შთენილი შეილები და ამ ტირილში იყო პატარა საბედას დღესასწაული.

განდევილი.



ც ი ც ლ.

IX



რო მიდიოდა. ციკოს სიბავშვევ, უზრუნველობა თან და თან შორდებოდა. მის ადგილს იქერდა რაღაც ფარული უკმაყოფილება. გული რაღაზედაც შემოჰკენესოდა, თითქო ჰაერი ეცოტავეებოდა, არა ყოფნიდა, ცის დასავალი ვიწრო იყო და მისი თვალები ნატრობდა შორს გადაფრენას. უმჯობესი ადგილები-კი გაეცნო მარტო წიგნებიდან.

— ღმერთო! — შესძახებდა და მთრთოლვარე ხელს გადაისვამდა წაბლის ფერ ხუჭუჭ თმაზე, რომელიც ბეჭებზე გრძელ ნაწინავად დაშვებოდა.

— რა საშინელი სიციარიელეა ამ სოფელში! ელენე წავიდა, როსტომისას აღარავინ დადის. ყველა სადღაც მიისწრაფის, მე-კი ფეხ-მოუცვლელად ვზივარ აქ, ამ პატარა სოფელში. მარტო ხანდისხან ახლო-მახლო თუ გავისეირნებდით დიდდა და მე, ისიც მაშინ, როდესაც პატარა ვიყავ, ახლა-კი, როდესაც გავიზარდე, დავქალდი, მენატრება ტოლ-ამხანაგნი, ყმაწვილი სული, პასთან ფერაობა, ხუმრობა, ვერავის ვხედავ. ნუ თუ დიდდასავით მთელი ჩემი სიციცხლე აქ უნდა გავლიო?

თუმცა კატოსთან მეგობრობა ახლისებდა, მაგრამ ისიც ამ ბოლოს დროს ნაკლებად აკმაყოფილებდა. მასთან ციკო ყოველთვის უნდა დახრილიყო, აზრებით დახურდავებულიყო, გონება-კი ეძებდა მაღალ აზროვნებას, მაღალ მსჯელობას, რომლისთვისაც თვითონაც ყური უნდა ეგდო და მოესმინა,

მაგრამ, ვაი, რომ, წიგნების გარდა, ვერსად ვერავისა ზედწიგნები წიგნები კი უსულო იყო. ციკოს, მოსწყინდა ყველაფერა. სხვა და სხვა ყვავილით მოქარგული მინდვრები, ყოველივე საგანი ამის თვალში ხავს-მოკიდებული იყო, მაგრამ როდესაც შეხვდავდა ძალზე მოხუცებულ, სახე დაღარულ დიდედას, რომელიც განაგრძობდა ახტზე ჯდომას, უცბად გული შეეკუმშებოდა რაღაც სიბრაღულით, თითქო შიშითაც.

— ღმერთო ჩემო, დღეს გაფითრებულია! რა რაგად მოხუცდა, მოუძღურდა. ნუ თუ ისეთი წუთები უნდა დადგეს, რომ დიდდა აღარ იყოს? — უცბად გაუელვებდა ეს აზრი, შეკრთებოდ და გულის ძგერით შეუბღვერდა წინანდელ უსამზღრო სურვილებს, თითქო უბრძანებდა ჩამალვა-გაქრობას, მივარდებოდა დიდედას და დაუწყებდა აღერსს.

— დიდდა, რათა ხარ მოწყენილი? — ჩაეკითხებოდა.

— არაფერს, შვილო! ისე .. — უპასუხებდა ნაღვლიანის ღიმილით მოხუცებული და აღერსით თავზე ხელს დაუსვამდა. პავლე თითქო მოიქანცა გარე-გარე-სიარულით, ბოლო ხანებში უფრო ხშირად რჩებოდა სახლში. დღითი-დღე თვალის სინათლე აკლდებოდა. ექიმებმაც, თითქო მობეზრდათ ამისი წამლობაო, მისცეს კეთილი დარიგება და ურჩიეს სოფლად წმინდა ჰაერზე ყოფილიყო. შესწყდა პავლეს სიამოვნების წუთებიც. აი, დაბრუნდა ერთხელ ქალაქიდან და შემდეგ ველარ შესძლო წასვლა სადმე. სანამ ძალიან ახლო არ მივიდოდა ვინმე, ველარავის სცნობდ ა. ხშირად იჯდა აივანზე, ყურს უგდებდა ქეთევანს, ან ციკოს, მეტადრე უკანასკნელს, რომელიც აღარ შორდებოდა.

— ციკო, შვილო, აქა ხარ? არსად წახვიდე, გენაცვალოს პაპა... აბა, ჩაი მომიტანე! აბა, საყდარში წამიყვანე! ლოგინი გამისწორე! — განუწყვეტლად შეესმოდა ციკოს, რომელიც ხმა ამოუღებლად ასრულებდა ყოველსავე ბრძანებას, მაგრამ მასთანვე ვრძნობდა, რომ მისი არსება იქანცებოდა. მიდიოდა დღეები, თვეები პავლეს უარესობა დაეტ-

ყო. თვალის სინათლე სრულიად დაკარგა და ტკივილები აუტყდა. შუალამისას, როდესაც ღრმა ძილში იყო წასული, ციკო და მისი ყმაწვილი ბუნება ღონეს იკრებდა სახვლიოდ, სასიციოცხლოდ, უეცრად შემოესმოდა საშინელი კვნესა მეორე ოთახიდან. თვალეზ-გახელილი მსწრაფლ წამოვარდებოდა ზეზე, მოხედავდა პაპას ლოგინისკენ, სადაც წამოძვდარიყო მოხუცი, თავი დაენდო ხელებზე და გმინავდა.—გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, ნახევარსაც არა ვღირსეარ შენს მოწყალეებასა! ღმერთო, მიღხინე მე, ცოდვილსა! ღმერთო, მიღხინე!—მალ-მალ პირჯვარს იწერდა პავლე. დღითი დღე სუსტდებოდა, საკმელსაც უკლო. ქეთევან ახლა აღარ იჯდა ტახტზე, თავდადებული უფლიდა უსინათლო ამხანაგს, რომელიც პატარა ბავშვივით ეჩინებოდა. ნატალია და როსტომი ხშირად მოდიოდნენ ავადმყოფთან, ანუგეშებდნენ. მარტო ციკოს გულს აღარა ეკარებოდა-რა. პავლეს თვითებული კვნესა ძარღვებში სისხლს უყინავდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ერთის მხრივ საშინელმა ტკივილებმა, მეორეს მხრივ სიბერე-სისუსტემ, ღამე უძილობამ მეტად დასძლია ოდესმე ღოში ვაჟკაცი და ჩაადგო ლოგინად. როგორც იყო, ზაფხული გააღონლია, მაგრამ მკაცრ ზამთარს კი ველარ გაუძლო; ზედ დაერთო სურდო-ხველა, სიცხემ მწვავედ გაკრა უძლოურ ძელებში და პავლეს გამოესალმა წუთი-სოფელს. პავლე უკანასკნელ წუთების მოახლოვებას კარგად გრძნობდა, მაგრამ არას ამბობდა. მარტო ხელებს აფათურებდა, ეძებდა, არსად არ წასულიყვნენ ციკო და ქეთევანი.

ქეთევან, ჩემი ახლოხი და ყურთმაჯებიანი კაბა მომიტანე!—წარმოსთქვა ერთხელ და წამოჯდა ზეზე. უსინათლო თვალეზს ფართოდ ახელდა, ხელები მალ-მალ ახლო მიჰქონდა, თითქო თითებს იშინჯავდა. სახეზე აღმური ასდიოდა.

— ვაზიაროთ, ქალბატონო, — წასჩურჩულა ამ დროს თითიკამ.

— ბატონი საჩვენოში აღარ არის, — განაგრძო მანვე.

ქეთევანი მთელის სხეულით თრთოდა და ცრემლები დაეშრებოდა და დიოდა დამკნარ, გაყვითლებულ ლოყებზე.

თითიკამ პასუხს არ დაუცადა და ოთახიდან გავიდა.

— არ გესმის, ქალო? მოიტა კაბა!—კვალად გაიმეორა მოხუცმა. მცხელა ამ პერანგში, ეს არ მინდა, მინდა ჩემებურად მოვირთო.

— პაეღე, სად მიხვალ?—საყვედურით ეკითხებოდა ქეთევანი.

— სადაც მინდა. მომწყინდა აქ. უნდა წავიდე, გესმის?—შესძახა პაეღემ და ბალიშებზე უცბად გადავიარდა. თვალეები გადაატრიალა, ყელში დაიწყო ხრიალი. ის იყო მღვდელმაც კარი შემოაღო. პაეღემ ძლივს მოასწრო წმინდა საიდუმლოს ჩაყლაპვა, რომ სულიც დალია. თითიკამ ხელი ჰკრა ციკოს, რომელიც ზედ დაეკონა უსულო გვამს.

პაეღე დიდის ამბით დაასაფლავეს. როგორც მთელი ხეობა, ისე ქალაქიდანაც ბევრი ნაცნობი მოვიდა პატივის საცემად. ციკო გაკავებული მიჰყავდათ კუბოს ახლო, იქვე ძლივს ფეხს მიაღგავდა ქეთევანი თავ-სახურავ მოხდილი, თეთრ-თმა გაშლილი, ამისი მოთქმა ყველას თვალეებზე ცრემლსა ჰგვრიდა. ციკოს არა ესმოდა რა: ამის წინ ბუნდად კრთებოდა სახეები, რალსაც ეუბნებოდნენ. აი, წესს ბოლო მოეღო, სახლში დაბრუნდნენ. ოთახებში გაეშალათ მაგიდები, სუფრა აყვავებინათ სხვა და სხვა საქმელებით. ციკოს ეუცხოვა ეს, უფრო მეტად იგრძნო სიცარიელე. აქ აღარ იყო პაპა, აღარ არსებობდა არაფერი, გარდა მოხუცებულ დიდუდასი, რომლის სიცოცხლეც აგრედვე ბეწვზე ეკიდა. მთელი დღე საქმლის ნაწილი არ მიუკარებია, ტახტზე იწვა მეორე ოთახში და სტიროდა.

— დედა-შეილობამ, უფრო მადლია, რომ დიდუდას მიხედო.—გაახსენდა ციკოს დედაკაცების რჩევა და ამ სიტყვებმა თითქო მიმალული სიბრალული უმწყო მოხუცებულისადმი ისევ გაუღვიძა მწუხარე ციკოს გულში. ციკომ მოიწმინდა

თვალეები, წამოჯდა ზეზე, ზურგი მიაყუდა კედელს და ჩერდა სივრცეს. მის წინ გადიშალა სულ სხვა ცხოვრება. ციკო კარგად გრძნობდა, რომ ეს იყო ერთად ერთი პატრონი დიდედასი, მამულისა და ოჯახისა... ამ მოსაზრებაზე შედიდური ღიმილი მოსდიოდა. პურის ქამის შემდეგ, ხალხი დაიშალა, ყველამ უკანასკნელი ნუგეში მისცა ქირისუფლებს და წავიდნენ თავთავიანთ გზაზე. დარჩნენ მარტო დიდედა და ციკო შეწუხებულნი.

X

გავიდა ერთი კვირა. საღამო მოახლოებული იყო, რომ უცბად მოისმა ცხენების ფეხის ხმა. ციკო და კატო ისხდნენ ოთახში და წიგნს კითხულობდნენ, მაგრამ ციკომ, გაიგონა თუ არა ხმაურობა, საჩქაროდ წამოვარდა და კარზე გამოვიდა. კატოც უკან დაედევნა. სოლოს ცხენის აღვირი ეჭირა ხელში, კიბეზე ამოდიოდა ვიღაც კაკარდიანი მოხელე და მას უკან მოჰყვებოდნენ ორნი უცნობნი. ციკო პირველად ხედავდა იმათ და მის გაოცებას სამზღვარი არა ჰქონდა. მოხელემ დაინახა თუ არა ახალგაზრდა ქალები, თავაზიანად ქუდი მოუხადა.

— კნენინა ქეთევან პარპაშვილისა იქა სცხოვრობს? — იკითხა კაკარდოსანმა.

— დიალ, რა გნებავთ? — შედიდურად უპასუხა ციკომ.

— თქვენ ვიღა ბრძანდებით? — კვალად ჰკითხა მოხელემ.

— შე მისი შვილისშვილი ვარ.

— მემკვიდრე?

— დიალ!

— შეიძლება კნენინა ვნახო?

— რატომ, მობრძანდით.

ციკო საჩქაროდ გამობრუნდა, უკან მოჰყვებოდნენ სტუმრები. ქეთევანი იჯდა ძირს, ხალიჩაზე, მის გვერდით მოეკეცა ანანოს, ეტყობოდა რაღაც საყურადღებო ამბავს



ქართული
ენის
საქართველო

უამბობდა, რომ მოხუცებული უსმენდა, მაგრამ, ^{კარგად} ^{მეტი} ^{და} ^{მისმა} ^{ისედაც} ^{მისუსტებულმა} ^{გულმა} ^{მოუსვენრად} ^{იწყა} ^{ძალზე} ^{ძგერა}.

— ღმერთო, ბოქაულს ჩემთან რა უნდა? თითქო ეს კაცებიც უნახავს ქეთევანს, პავლესთან მოდიოდნენ ხოლმე. ბოქაულმა თავი დაუკრა ქეთევანს და რაღაც ქალაღდი გაშალა.

— მაპატიეთ, ბატონო, რომ თქვენს მყუდროებას ვარღვევ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნება არა მაქვს არ შევესრულო, რაც ჩემთვის კანონს დაუვალებია. თქვენის განსვენებულის მეუღლის დიდი პატივისცემა მაქვს, მაგრამ ნება მიბოძეთ, მოვახსენოთ მისი გარემოება.

— ბრძანეთ! — უთხრა ქეთევანმა და თვალეში გამოუკრთა გაოცება.

— თქვენს მეუღლეს მართებია ამ კაცების ვალი. ბევრჯელ უთხოვიათ, მაგრამ განსვენებულს არ მიუცია. ამათაც უჩივლიათ სასამართლოში, მაგრამ თქვენი მეუღლე არ გამოცხადებულა და სასამართლოს მიუსჯია ამათთვის, რასაც ჩიოდნენ. ახლა მომანდეს ავწერო თქვენი მეუღლის ყოველივე უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც საჯაროდ უნდა გაიყიდოს.

— რამდენში? — ყრუდ გაისმა ათრთოლებული ხმა ქეთევანისა.

— ორი ათას თუმანში.

ქეთევანმა აღარა სთქვა-რა, დაკუმშა ცხვირსახოცი და თვალეზე მიიფარა, ყელში უქერდნენ ცრემლები, ელდა-განწირულებას სამზღვარი დაჰკარგოდა. ანანოც გაოცებით შეჰყურებდა იქ მყოფთ და შეწუხებული ხანდისხან თავს აქნევდა. მოურავი დარისპანი, რომელიც აგრედვე შემოსულიყო ოთახში, ზურგით მიჰყუდებოდა კედელს და თვალეში ქერისთვის

მიემართა. სოლო და ნინიკა კარებთან იდგნენ და, დაკრფილები, თვალს არ აშორებდნენ ქალბატონს.

— რატომ აქამდის არ ვიცოდი, რომ მაგდენი ვალი ჰქონდა! ან როდის აიღო იმ საცოდავმა? რაში დასჯირდა? — ამ სიტყვებით მიმართა ქეთევანმა დარისხანს.

— მართალი ვახლავთ, შენი ქირიმე, ბატონი ისე არ მოვიდოდა ქალაქიდან, რომ ახალი ვალი არ მოჰყოლოდა, წინანდელიც ხომ სულ იზრდებოდა და იზრდებოდა და ახალი კიდევ ზედ ემატებოდა, — უპასუხა დარცხვენით მოურავმა.

— შემოსავალს რაღას უშერებოდა? აკი ისიც თან მიჰქონდა ხოლმე, ბანკში უნდა შევიტანოვო?!

— მართო შემოსავალი რას ეყოფოდა, დალოცვილო? რაც იმას ქალაქში ამბები ჰქონდა, თქვენი მამული რა ზღვა იყო, რომ ასელოდა.

— შენც იცოდი და არ შეუბნებოდი? — შესძახა მთრთოლვარე ხმით ქეთევანმა, რომლის არსება აღშფოთებას მოეცვა.

— კაი ბიჭი-კი ვიქნებოდი, რომ მეთქვა. ბატონის რისხვას სადღა წაუვიდოდი? დამემუქრა, გაგათავებ, თუ კრინტი დაგიძრავსო. ან კი რა ჩემი საქმე იყო ურიგ-მარिგოდ ტიტინი?

— უბედური! — შესძახა ზიზლით ქეთევანმა და თანაგრძნობით გადაჰხედა ციკოს, რომელიც გაქვავებულივით იდგა ერთს ადგილს.

— კნენა, მეტს ველარ მოვიციდი, კანონი აღსრულებაში უნდა მოვიყვანო, — გაისმა ბოქაულის ხმა.

— ეჰ, შვილო, რაღა ნებას თხოულობ?! რაც გინდოდეთ, ის მოიქმედეთ... აბა, ამ ამბების მომსწრეს ვინღა ჰკითხავს რასმე?... — წარმოსთქვა ღონე-მიხილშა ქეთევანმა. ბოქაული შეუდგა თავის საქმეს.

— დღეის იქით თქვენ ნება აღიარა გაქვთ ისარგებლოთ მამულის შემოსავლით, ყველაფერი ამ კაცების ხელში უნდა



იყოს, ვიდრე მიმული არ გაიყიდება,—უთხრა კვლავ მისთვის უღმა და წინ წამოაყენა ერთ-ერთი მოსულთაგანი, რომელიც თავჩალუნული იდგა, მარტო ხანდისხან აღმაცერად გახედავდა ხოლმე გაფითრებულ ციკოს. ძლივს უსიამოვნო სტუმრები გავიდნენ ოთახიდან, მაგრამ დანარჩენთ შვება არ უგრძნიათ.

ქეთევანმა თვალი მოაფლო ოთახს, შეხედა ციკოს და მისმა გაფითრებულმა ტუჩებმა ოდნავ ჩაილაპარაკა.

— ციკო, შეილო, მაშ, გაგვცარცვეს! გაგვასაწყლეს! უბინოდ დავგტოვეს?—გულიდან ამოხდა სუსტი კვნესა ქეთევანს და გონება დაკარგული მიესვენა კედელს.

ციკოს ხმა არ გაუღია. როგორც იყო, მოაბრუნა დიდდა, თვითონაც კრიჭა შეჭკროდა.

— რა მოხდა? ეს რა მოულოდნელი მეხი დაეკათ? ოჰ, ომერთო!—იმეორებდა თავის გონებაში ციკო.

ერთი საათიც არ გასულა, რომ დიდდა იტანა საშინელმა კანკალმა, კბილს კბილზე ველარ უქერდა, მთელის სხეულით თრთოდა. თითიკამ ლოგინი გაუშალა, მოხუცებული კვნესით მივიდა და დაიწყო ტანისამოსის ხდა, მაგრამ ხელები არა ნებდებოდა, თითებს მგრძნობელობა დაჰკარგოდათ. ციკომ უშველა გახდა, ლოგინში ჩააწვინა და საბანი დახურა, მაგრამ ქეთევანი ველარა თბებოდა.

— დიდდა, გაგაცია? რა გიშავს! მალე გაგივლის..—ეუბნებოდა მზრუნველობით ციკო და თან შუბლზე ხელს უსვამდა. მოხუცებულმა ნაღვლიანად შეხედა ციკოს. ანანო კარზე გავიდა და დაუწყო თითიკას რაღაც ჩურჩული. კატომაც თავი მეტად ჩასთვალა ოთახში და დედას უკან დაედევნა.

— ჩემ ხელზე დადე თავი, დიდდა!—ეუბნებოდა ალერსით ციკო. თბილი ხელი მაქვს და გაგათბობ!

— შეილო!—წარმოსთქვა ქეთევანმა, რი მელსაც სახე გაფითრებოდა; უთხარი თითიკას, მღვდელი მომიყვანოს.

— გაციებამ ეგრე როგორ შეგაშინა? ეხლავე დაგასხამს და მორჩები.

— ზიარება მაინც არ მომკლავს, — უპასუხა ქეთევანმა და ოთახს თვალი მოავლო, თითქო ეძებს ვილასაცაო.

— აქ ხომ არავინ არის?.. იკითხა.

— არა, მარტო შე ვარ, დიდედა!

— ოჰ, შენა? რა დამშვიდებით მოკვცდებოდი, რომ მოვსწრებოდი შენს დაბინავებას.— ქეთევან შუბლზე ხელს ისვამდა და ცდილობდა თავისთავისთვის ძალა დაეტანებინა. აღელვებული, შეშინებული ციკო მისჩერებოდა.

— ყური მიგდევ, შვილო, — დაილაპარაკა ქეთევანმა. — შენ ახლა ბავშვი აღარა ხარ. არ შეგეშინდეს, — დაუმატა მოშაკვდავმა და გადახედა ახალგაზრდა ქალს, რომელიც სტიროდა.

— მე ეს არის ვკვდები... — დაიწყო უფრო სუსტად დიდდამ, ათრთოლებული ხელი წაიღო ბალიშისაკენ და გამოიღო გასაღები, გაუწოდა ციკოს და მიაშტერდა:

— აი, ეს... თეთრი ყუთი გააღე... იქ შენახული მქონდა შავი დღისთვის ორიოდ გროში და აი, ეს შავი დღეც ხომ გათენდა!... იქიდან ცოტა მე დამახარჯე და დანარჩენი შენა გქონდეს, სანამ... სანამ ღმერთი... რაიმე ნუგეშს გაგიჩენდეს... ძლივს დაუმატა ქეთევანმა და თვალთავან კრემლები წამოუვიდა. ველარ შესძლო ლაპარაკი და ხმა ჩაკმინდა. შუბლზე წარმომდგარი ოფლი ხელსახოცით მოსწმინდა ციკომ; ცხადად იტყობდა, რომ ქეთევანი სუსტდებოდა და სიცხე-კი არა სჩანდა.

— ხომ არას მიირთმევ, ქალბატონო? — შემოვიდა ამ დროს თითიკა, მაგრამ, როდესაც დაინახა სულთ მობრძავი ქეთევანი, მუხლებზე ხელი დაიკრა, გაალო კარი და ხმა-მალლა გადაჰყვირა სოლოს.

— წადი, კაცო, ჩქარა მღვდელი მოიყვანე! — შემდეგ საჩქაროდ უკანვე შემოტრიალდა, ანანოც უკან დაედევნა.



ქეთევანს ლოყა დაენდო ციკოს ხელზე და, თითქმის ნახევარწუთში რად თვალზე დაკარგული, უაზროდ იხედებოდა.

— იქითა, ქალო! — შესძახა თითიკამ, მივიდა ქეთევანთან, რომელმაც ოდნავ გაუღიმა. თითიკამ გულაღმა დააწვინა მომაკვდავი, გამობრუნდა, დაუწყო საცვლებს ლაგება.

— მობრძანდი, მამო, — შესძახა გახარებულმა დედაკაცმა, როდესაც მღვდელი შემოვიდა. ქეთევანი თითქო გონებაზე მოვიდა, გადმოხედა მამა იოსებს და თვალ-ცრემლიანმა დაიჩურჩულა.

— მაზიარე, მამო!

მღვდელმა შეატყო, რომ დრო ცოტა იყო და აღარ დაუწყო გამოკითხვა. ქეთევანმა ჩაყლაპა თუ არა ზიარება, ერთი კიდევ გადაატრიალა თვალები და სამუდამოდ დაჰკარგა გონება.

— რა იყო, ასე უეცრად ამ საცოდავის თავსა? — იკითხა დაღონებულმა მამა იოსებმა და გადახედა ციკოს, რომელიც მწარედ ქვითინებდა.

— რა იყო და გული გაუხეთქეს იმ გულ გასახეთქებმა. გენაცვალეთ, ხუმრობა ელდა გამოიარა?! პრიპტავი რომ შემოვიდა და ისე ტყვიასავით მიარტყა საშინელი სიტყვები! სასიხარულოსაც არ ეტყვიან ასე მოუშაადებლად, თორემ ასეთი უბედურობა! იმ გასაეუფავებს, სულ აუწერიათ მთელი მამული და სახლ-კარი, — გაბრაზებით ლაპარაკობდა თითიკა და ფუსფუსებდა მიცვალებულის ახლო. მღვდელი მივიდა ციკოსთან, ჩამოართვა ხელი და გაჩერდა მის წინ.

— გამაგრდით! თქვენს თავს გაუფრთხილდით! — წყნარად წარმოსთქვა სულიერმა მამამ.

XI

ციკომ, კარგა ტირილის შემდეგ, თავი შეიმაგრა, ზეზე წამოდგა, მიუახლოვდა მიცვალებულს და გაჩერდა მის წინ. დიდხანს დამშვიდებული იყო. ყოველივე მისი სახის მოხაზუ-

ლობა გაყინულ-გაჩერებულიყო. რა შემხარავ განსხვავებებს ხედავდა მძინარესა და ამ თვალეზ დახუჭულ არსებას შორის! ნუ თუ ეს ის ძვირფასი დიდებდა, რომელიც სიყვარულით, აღერსით ეფერებოდა ციკოს? დიდებდა აღარ იყო, მასთან გამჭრალიყო ეს სახლიც, სადაც მარტო სტუმრად დარჩებოდა რავდენიმე დღე. მერე სამუდამოდ ჩაესვენებოდა ცივ სამარეში. ახლა ამ წუთებში მაინც უყურებდა მის სახის ხატებს, მერე-კი ესეც გაჰქრებოდა. გაჰქრებოდა საუკუნოდ, როგორადაც გაჰქრა პაპა. ციკოს გული შეეკუმშა, სხეულში ქრუანტელმა დაუარა.

— მაშ, ქვეყანა დაცარიელდა? ვილა იზრუნებს ციკოსთვის? გაქირების დროს ვილა გაუწვდენს საშველად ხელსა? რა საზარლად დაიგრგვინვა ცამ, უწყალო ბედმა რა მედგრად გადაატრიალა ბორბალი, თან გადიტანა ციკოს მყუდრო, უზრუნველი, ბავშვური ცხოვრება! დღეს წყვილიაღია, ყველგან სიცარიელეა, დარჩენილა მარტო ციკო... ციკომ მიიფარა სახეზე ხელები და კვალად აქვითინდა.

— შე, ქალო, როგორ ასე მიგიგლია? შეინახე, ვერა ხედავ, რამოდენა ხალხი ირევა! რო დაგეკარგოს, პასუხს ვილას მოსთხოვ?—წასჩურჩულა ამ დროს თითიკამ და ხელში გასაღები ჩაუდო. ციკო შეკრთა, მოიხედა და მარტო ახლა გაახსენდა, რა დაუბარა მამაკვდავმა დიდებამ.

— სანთლებია საკირო! ასე როგორ შეიძლება? მიცვალებულს არა უნდა-რა?—ბურთხუნებდა თითიკა.

ამ სიტყვებმა ხომ სრულებით გამოაფხიზლა ციკო; ხმა ამოუღებლად გამობრუნდა, მაგრამ მუხლები უთრთოდა, ეკეცებოდა. მაინც, როგორც იყო, შევიდა დანიშნულ ოთახში, შიგნიდან ჩიკეტა კარები და სკივრს მიუახლოვდა. აქაც ღონემ უმტყუნა, აღელდა და პატარა ხანს კედელს მიეყუდა, რომ როგორმე გული მოებრუნებინა. სატანჯავი იყო ამ ეამად ციკოსთვის ყუთის გაღება, მაგრამ რადგან საკიროება მოითხოვდა, თავს ძალა დაატანა, მთრთოლვარე ხელი წაი-

ლო ყუთისაყენ. მრავალ საცვლებ ქვეშ ხელს მაგრად მოხედვით რაღაც, ვადასწია კინკებს და ციკოს თვალეში შეანათა ფოდნოსის პატარა ყუთმა.

კლიტემ საჩქაროდ გაიწკარუნა, ციკომ დაინახა ყუთში ჩაწყობილი ოცდა ხუთ მანეთიანები, რომლებითაც პირამდის იყო გალიკლიცებული. ქალი ჰხედავდა, რომ ყუთში ბლომა ფული იყო, მაგრამ გული არა ჰქონდა, კარგად გაესინჯა მისი რაოდენობა, საჩქაროდ ამოიღო ორიოდე ქალაღდი, დანარჩენი ისევ დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიღო.

— თითიკა მართალს ამბობს, მიცვალეზულს პატრონობა უნდა, — გაიფიქრა და გამოვიდა ისევ ოთახში, სადაც ელოდა მღვდელი, რომელიც შემოსილი იდგა დიაკვანთან ერთად. დიდება უკვე დაესვენათ გრძელ მაგიდაზე. ციკო მის დანახვაზე, გაფითრდა, გულმა ღონება დაუწყო და სკამზე დაეშვა. მღვდელი დაკვირვებით უყურებდა ხან მიცვალეზულს, ხან ციკოს და სიბრაღულით თვალეში კრემლები ერეოდა. როსტომი და ნატალია წყლებზე წასულიყვნენ საწამლებლად და საბრალო ციკოს პატრონი არაეინა სჩანდა, გარდა გლებკაცებისა, რომლებითაც სავსე იყო სახლი.

— ნუ მომეხატრებით. იქნება ფული არა გაქვთ? — წასჩურჩულა მამა იოსებმა ციკოს.

— არა, მამაო, გახლავს. დიდდამ თევისი სამარხი დამიტოვა, რაც საჭიროა, არა დააკლოთ-რა, სხვა სოფლებიდანაც მოიწვიეთ მღვდლები! — სლუკუნით ეუბნებოდა ციკო და თანაც დაწითლებულ თვალეზს ხშირად იწმენდავდა.

მღვდელმა ანიშნა დიაკვანს და ამნაც დაიწყო კითხვა. მამა იოსები კი გამოვიდა შეორე ოთახში და ციკოსაც სთხოვა გაპყოლოდა.

მომღვარმა ციკო მიიყვანა სკამთან, თვითონაც ახლო დაჯდა და აღელვებულმა თმაზე ხელი გადაისვა, წვერები ჩამოისწორა, კეთილი თვალეზი მიმართა ახალგაზრდა პირისუფალს და რამდენჯერმე ჩაახველა. ეტყობოდა, ეძნელებოდა

დალაპარაკება. ციკო გარინდებული იჯდა უძრავად და მისი თვალები მიეშტერებინა იატაკისთვის.

— წინადაც მოგახსენეთ, თავს გაუფრთხილდით მეთქი, — დაიწყო თანაგრძნობით მამა იოსებმა. მოხუცებულებს მეტი დრო აღარა ჰქონდათ სასიციოცხლოდ. თქვენ კი ახალგაზრდა ხართ და თავს გაუფრთხილდით. — დაუმატა კვლავ.

— რისთვის? — ყრუდ გაისმა ათრთოლებული კითხვა.

— მომავალ ცხოვრებისათვის.

ციკომ ხმა არ გაიღო, დაკვირვებით და გოცებით შეხედა მოძღვარს, რომელიც ისე კეთილი მოსჩანდა. აი, დამარხეს დიდება... ციკოს მწუხარებას სამზღვარი დაეკარგა, თავპირში ხელებს იცემდა და გულსაკლავად მისტიროდა თავის ერთად ერთ გულშემატკივარს, რომელიც შორდებოდა და მიწას ეფარებოდა.

ციკო დარჩა სოლოსა და თითქოს ამარა. ყოველ დღე მიდიოდა საფლავზე, მდულარე ცრემლით აღბობდა დედამიწას. კატო აღარა შორდებოდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე შეემსუბუქებინა მისთვის მწუხარება, მაგრამ ამოდ. რაც უფრო დრო მიდიოდა, უფრო თანდათან ხელსა რევდა უბედური მდგომარეობა ციკოს და გულწათხრობილი, გარინდებული ლანდივით მოძრაობდა. ნატალია და როსტომიც დაბრუნდნენ სახლში, ეხვეწებოდნენ, მათთან მაინც გადასულიყო ციკო, მაგრამ ქალს თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა და ახლო არ იკარებდა მათ წინადადებას.

XII

გავიდა რამდენიმე თვე. ციკო თითქო შეეჩვია თავის მდგომარეობას, უფრო მეტ დროს ატარებდა საფლავებზე, რომლებიც ეკლესიის ეზოში იყო. მეტად გაამშვენებია ეს ეზო. მნათეს დაარგვეინა საჩრდილობელი ხეები და მათ ქვეშ ხის სკამები დაადგმვეინა. საფლავებს გარს შემოუყრიდა ბზის ბუჩქები, რომლებშიაც შიგა და შიგ ყვავილები მორცხვად

იყურებოდა. ქალს მოთხოვნილებად გარდაექცა ამ სიტყვას მოსვლა. გათენდებოდა თუ არა, გული დაუწყებდა ღონებას და აქეთ ეწეოდა. ესეც დაუძახებდა კატოს და მასთან ერთად გასწევდა. ციკოს გული აღარ უდგებოდა სახლში. ოჰ, რა ძვირფასი იყო წინად თვითვეული კუთხე, დღეს-კი ვიღაც ტარტაროზი დაჰპატრონებოდა ყველაფერს. დღითი დღე ელოდა ვიღასაც, რომელიც უბრძანებდა აქედან გასვლას. ციკო თვალით აღარ განიცდიდა ამ არე-მარეს, ოღონდ-კი ჰქონოდა სხვა თავშესაფარებელი, მაგრამ სად წასულიყო, ვერ მოგახრებინა. აკი დიდდამ ფული დაუტოვა! ოცი თუმანი მის დამარხვას მოაწოდოდა, თვითონაც რჩებოდა ბარე სამოც თუმანდღე, მაგრამ როდემდის ეყოფოდა? ბევრი-ბევრი ერთი წელიწადი, მერე? მერე რილათი იცხოვროს? ვინ რას მისცემს? ოჰ, არა, არა, ციკო ჯერ ვერსად წავა აქედან, სანამ წელიწადი არ შესრულდება. მერე გარემოება როგორც უჩვენებს, ისე მოიქცევა. სახლი ხომ უნდა დასცალოს? ეს ფიქრები არ შორდებოდა ციკოს და დღე თუ ღამ ღალავდა, მოსვენებას არ აძლევდა. გათენდა ის დღეც. გამოჩნდა წინანდელი მოვალე, რომელიც გაუთენებლივ მოსულიყო და ელოდა ციკოს ადგომას. ციკო გავიდა აივანზე, რომ სოლოსთვის დაეძახნა და ფერმა გადაჰკრა, როდესაც მის წინ გამოიქიმა უსიამოვნო სტუმარი.

— რა გნებაეთ?—უკმაყოფილოდ ჰკითხა ციკომ.

— უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მეტი ღონე არ არის, უნდა მოგახსენოთ, ეს სახლი დღეს ჩემი გახლავთ და უნდა დასცალოთ! როგორც სახლი, ისე მამული მე შეკუთვნის. საჯარო ვაქრობით მე დამრჩა ყველაფერი, რაც-კი რამებადა ჰპაატქვენს.

— ეგ დიდი ხანია გაგებული გვაქვს.—უპასუხა ციკომ.

— ჰო და მეც იმისთვის მოვედი, რომ გთხოვოთ დამიცალოთ სახლი, მეორედ ნულარ მომიყვანთ, რომ თქვენც

შეურაცხყოფა არ მიიყენოთ და მეც არ შემაწუხოთ, — დასრულდა მათა ცოტა არ იყოს მკვახედ ახალმა მებატონემ.

წუთს ელვისავით გავარდა სოფელში ხმა და ხალხმაც თავი მოიყარა ციკოსთან. ყველანი დადონებულები შეჭყურებდნენ უბინაოდ დატოვებულ ქალს.

— ეს რა გვიყო იმ სულ-განათლებულმა? ყვლები რად დაგვჭრა? ვის ხელში ჩაგვყარა? — ამბობდნენ გლეხები, რომელთაც მამა-პაპიდან ხელში ეჭირათ პავლეს მიწები.

— ჩვენ აქ საცხოვრებელი პირი აღარ გვიჩანს, — უმატებდნენ თანა.

გაფითრებული ციკო იჯდა აივანზე და იყურებოდა პირდაპირ.

— შენ-კი გაიხარე, შვილო! შეიფურთხე ამ სახლსაც და კარსაც, დასანანი რომ ყოფილიყო, არც ასე მოხდებოდა საქმე. თავში მიაწყვიტე და გაეცალე! მოდი, იი, ჩემი ქდეული ისე დაგიკრიალო, კატოს მზემა, რომ მოგეწონოს! წაილოს მაგ სატიელომ, ოხრადაც დარჩენია! — გაიძახოდა გაგულისებული ანანო, რომელსაც სიბრახისგან პირში ნერწყვი უშრებოდა.

— თუ-კი ჩვენთან იცხოვრებს, შე ქალო, ვინ ოხერი დაიშურებს მაგისთვის სახლსა და კარსა? — გაისმა ხალხში ხმაურობა.

— ჩვენთან წამო, ციკო, ჩვენთან გირჩენიან! — ეჩურჩულებოდა კატო. თანაც ეშინოდა უარი არ მიეღო მგობრისგან. ციკო გაქვავებულივით იყო, ხმას არ იღებდა. ამის არსებაში საშინელი ბრძოლა ატეხილიყო, თითქო ჯიბრზე ამ წუთებში მეტად ემძიმებოდა ამ სახლიდან გასვლა. გუშინ თვითონვე დიდის სიხარულით გაეკლებოდა, მაგრამ დღეს-კი ისევე ძვირფასად მიაჩნდა და მზად იყო მაგრა ჩასკიდებოდა. ტიროდა ციკო, ტიროდნენ მასთან გლეხებიც; მარტო დღეს გაიგეს ქეთევანის და პავლეს დახოცვა; მარტო დღეს ეთხოვებოდნენ სამუდამოდ. დასაფლავების დღეს თითქო სასერიოდ

მოსულიყვნენ, მაგრამ დღეს-კი გარდაქცეულიყვნენ მატკივარ კირისუფლებად.

— ციციმ გონება შემოიკრიფა, დავვიანება არ შეიძლება, უნდა წასულიყო, სანამ ბოქაული ძალით არ გააგდებდა, მაგრამ სად წასულიყო? ისევ ამ საკითხზე ჩერდებოდა და პასუხს ვეღარ ახერხებდა.

— რაღას უყურებ, დედავ? უბრძანე ბიჭებს, გიშველონ ბარგის შეკვრა. ტყუილად ფიქრობ... უთხრა კვალად ანანომ.

ციციმ აიღო მადლა თავი, შეხედა ანანოს და ნაღვლიანად გაიღიმა. ეტყობოდა თითქო უსიტყვოთ თანხმდებოდა და სქერით მადლობას ჰხატავდა.

— ეს რა უბედურობაა!— გაიძახოდა თითიკა, მუხლებს ითქვეფავდა და მოუსვენრად დადიოდა აქეთ-იქით, თითქო რაღასაც ეძებსო.

— იი, ნეტაი შენც მუგუზლებს არ უმატებდე! გირჩევნიან ბარგი ჩაალაგოთ, ბარგი და საქმე გაათავოთ. რაღას ზოზინობ? გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვას და ეს არის!— შესძახა ანანომ.

— რას გვიბრძანებ, ბატონიშვილო, გვიმსახურე, რაშიაც დაგკირდეთ!— შესძახეს ერთხმად გლეხებმა.

ციცოს კვალად გული აუჩუყდა და დაიწყო ტირილი. ანანო და კატო შევიდნენ ოთახში, მათ თან შეჰყვნენ რავდენიმე ახალგაზდა ბიჭები და დაუწყეს ავეჯს გამოლაგება. დანარჩენები ნელ-ნელა დაიშალნენ. ციციც შემობრუნდა ოთახში და იმანაც უკმაყოფილოდ დაიწყო ხელების ფათური, ვითომც ჩაღაგებაში შეელოდა.

— შე რაღას მიბრძანებ, ბატონიშვილო?— წარმოსთქვა ამ დროს კარებთან გაჩერებულმა სოლომ. მე ახლა საკირო აღარა ვარ თქვენთვის. დამითხოვე— მივხედო ჩემს ოხერ ცოლ-შვილს, — დაუმატა მან და ჩოხის კალთით მოიწმინდა ცრემლები. საწყალს თითქო ეძნელებოდა ციცოს მოშორება, ნაა-

მაგარ ოჯახის დათმობა. ციკოს ხელები აუცახცახდა და კონა ლამ გააგდო ლამპარი, რომელიც მოჰქონდა ყუთში ჩასადგმელად. ნაღვლიანად შეხედა სოლოს.

— აბა, რა გითხრა, ჩემო სოლო? მე თვითონაც არ ვიცი, რითი განუგეშო ან შენ და ან ჩემი თავი? რა იმედით გავამხნევო? ხომ მხედავ, ცის ქვეშ დავრჩი და ჩემი პატრონი ქვეყანაზე არავინაა? სხვისი სამადლო გავხდი...

— ჰო და აგრე, შენი ჰირიმე, დღესვე დამითხოვე. არ შემძლიან დღეის იქით ამ სახლის ყურება. მე ჩემი დამემართება და ჩემი საწყალი ცოლ-შვილის ცოდო ნუ გინდა. სოლოს წლის ჯამაგირი წაღებული ჰქონდა წინდაწინვე, მაგრამ ციკომ კიდევ მისცა ფული. სოლომ ხელზე აკოცა და ქვითინით გამოვიდა კარზე.

— შენ კი შემოგველე, რაც უნდა გამაგდო, ამ შენ მუხლის წინ გამოვიპირი ყელსა და ის იქნება. სანამ აქა ხარ, არ მოგშორდები, აგრემც წამლად დაგენაყება ჩემი თავი, შენთან ვეგდები. მერე კი მეც წავალ ჩემ საწყალ ბიჭთან, — უთხრა თითიკამ ციკოს, როცა სოლო წავიდა. ციკომ, თანხმობის ნიშნად, ცრემლებ ქვეშ გაუღიმა თითიკას.

მალე ჩალაგებასაც ბოლო მოეღო, წუთს ციმციმ გამოიტანეს ყველაფერი ბიჭებმა და სახლი დასცალეს, — ციკოც უნდა გამოსულიყო. უკანასკნელად გაჩერდა, თვალი მოავლო ყოველივეს და კარგა ხანს მიაშტერდა იმ ადგილს, სადაც დიდდას ტახტი იდგა და გაწამდა, განძრევას ვერ ახერხებდა, ვერა ბედავდა. თითქო ყველა კუთხიდან ეყურებოდა საყვედურის ჩურჩული და რალაც ხვეწნა-მუდარა.

— ციკო, წავიდეთ! — მოესმა ამ დროს კატოს ხმა და ხელი შეახო მის გაყინულ თითებს, რომლებიც მაგრა ჩაექირა ერთმანეთისთვის და ლამობდნენ დამტვრევა-დაღწევას. ციკოს გააკანკალა, მუხლები ჩაეკეცა და ველარ გადადგა ფეხი: სა-



ხეზე სიკვდილის ფერი დასდებოდა, თვალები უაზროდ მუშაობდა.
ტერებოდა.

— ციკო, წამოდი! — გაისმა კვალად დაეინებით ძახილი და კატომ მაგრა შემოხვია მკლავები, რომ არ წაქცეულიყო. ციკომ თავი მეგობარს დაანდო მხარზე.

ოთახში გაისმა კვალად ტირილი და მოთქმა.

გონება-დაკარგული ციკო ანანოსა და კატოს ნელ-ნელა ჩაჰყავდათ კიბეზე.

ანანტასია ერისთავ-ხოშტარია.



ბუნების წიაღზე.



ქვ, ოპ, რა უბედურებაა, ღმერთმანი! აღარ მაკლიან, ცოტა ხანს თავისუფლად ამოვისუნთქო: ვინც არა მგონია, მთელავს და შქელავს. ჰშურთ, თუ როგორ არის, ვერ გამოვიგია, ჩემთვის ეს ყვაილები, ჩემი ამწვანება და გამოცოცხლება? სად მოსცანცარებ, სად, შენ, ეი, ბრუციანო! ტალახი მიინც მოიშორე ფეხებიდან! სწყრებოდა მდელიო, დიდს, ულრანს ტყეში მომწყვდეული და ათასფრად ყვაილებით აქრელებული. კურდღელი-კი ყურსაც არ უგდებდა, დაკუნტრუშობდა, ლალობდა; არ იცოდა, რასა შერებოდა ბუნების ეშხით დამთვრალი. ნაფარდობდა კურდღელი და თანაც მწვანე ბალახს შეეკცეოდა, ხოლო, ხანდახან წაულაპარაკებდა:—კარგი ერთი, ღმერთი გავახარებს, აბა, ეგ რა სათქმელია! მაშ, სადღა წავიდე, მითხარი სად, როცა შენზე კარგსა და ლამაზს ვერავისა

ვხედავ ამ დედა-მიწის ზურგზე? თითქოს პირველადა მხედავდე! მაშ, რა ვქნა, ტყეში ამოვირთო სული? შევეძვრე სოროში და იქ ვიჯდე? თქვენ რატომ არა ჰზიხართ სოროში, რა გიქირდათ, აქამდის არხეინად განისვენებდით დედა-მიწის გულში, რად გამოსცვიედით კარში, მზეში თავ-შიშველ, ფეხ-შიშველები? მე-კი არ მინდა მზე დაეინახო? ჰატარა ჰაერი ჩაყლაპო? დილა-საღამოს ცოტა ხნობით გეწვევით და მაშინაც სამღურავით მარჩობთ.

— ისე მიინც დაადგი ფეხები, ყვაილები არ გასთელო!—დუდუნებდა მდელიო.



— აბა, რა სათქმელია! კიდევ ის მიყვარს, რამდენიმე წელიწადს
ლებს ვადგამდე ფეხებსა, და არა მარტო ფეხებს, მთელის
ტანით ყვავილებში ვიყო გახვეული, — უპასუხებდა კურდღე-
ლი.

— შენ-კი გაქრი აჰაანდე! — დუდუნებდნენ ყვავილები: —
ხანდახან რომ კისერსაცა გეტებავ, შე კისერ-მოსატებო! მთელ
დღე-ღამეს, ვიდრე წყლული არ გაგვიმთელდება და მალა
თავს არ ავიღებთ, ვკენესით, ვიტანჯებით.

— თქვენ, ქალბატონებო, რატომ ღმერთს მადლობას
არა სწირავთ, რომ სრულიად არ გისპობთ სიციოცხლეს, არა
გსრესავთ. — ამბობდა კურდღელი

— ერთი ამას უყუროს კაცმა, სიციოცხლის მოსპობასაც
გვემართლები? ის არ გეყოფა, რაც ჩვენს თავზე ოინებს ეწე-
ვი, სიკვდილსაც არ გვიქადოდე? რა უზრდელი რამა ხარ!..
მიყვარხართო. კაი სიყვარულია, თქვენმა მზემ, ადამიანს თავ-
პირს ამტვრევდე, გვერდებს აღეწდე!.. ძალიან სიყვარულია!
ეგრე შენ შეგიყვაროს მგელმა, მელამა და კვერნამ, როგორც
შენ ჩვენ გიყვარვით... — ამბობდნენ ყვავილები.

— მიყვარხართ, ჩემი ყურების მზემა და რა ვქნა, რა
ვსთქვა ამაზე მეტი? — უპასუხებდა კურდღელი.

— შენ კი არ გიყვარვართ, თუ სიმართლეს გვათქმევენებ,
მიუგეს ყვავილებმა: — აგერ იმას უყვარვართ, უცქირე კარგად:
როგორ თავზე გვევლება, ზედ დაგვკანკალებს, შიშით ლა-
მის ფერფლად იქცეს საცოდავი, ყვავილებს არაფერი ვაწყი-
ნო ან ვატკინოვო; ფოთოლსაც-კი არავის გაგვიბრუნდებს, რა-
ცა გვკოცნის, გვეალერსება, ან გვემუსაიფება.

— ჰმ, ჰმ, — წარმოსთქვა კურდღელმა: — რამდენადაც ლა-
მაზეები ხართ, იმდენად სულელებიც ჰყოფილხართ; რატომ
არ გესმით, რომ ჰეველას ფრენა შეუძლიან და მე — არა. ბა-
რემ კარგი იყო, რაც უნარი მაქვს, ამასთან ერთად ფრენაც
ვიცოდე, მაგრამ არ ვიცი და რა ვქნა?! მადლობა ღმერთსა!..

ეპ, ჩემო კარგებო, ჯერ თქვენ გამოუცდელი, ხამები ხართ, გუშინდელი ბალები, კარგად ვერ იცნობთ მუხთალ წუთისოფელსა. როცა გაიცნობთ, მაშინ იტყვი: ნეტავი ისევ კურდღლის მეტი ცხოველი თვალთაც არ გვენახა, იმის ხელში დაეზოცილიყავითო, — უთხრა კურდღელმა.

— რა ცხოველებია, ან სად არიან ისინი? რატომ იმათაც არა ვხედავთ, როგორც მაგალითად, შენ? — ჰკითხავდნენ კურდღელს ყვავილები.



— ისინი არიან: დათვი, ირემი, შველი, ღორი, მგელი, მელა, კვერნა და სხვა. ჯერ იმათგანი თქვენ არავინ გსტუმრებიათ, რადგან ამ ტყეში სხვა ველებიც ბევრია; ამ არე-მარეს ბევრი გასაფალ-გამოსაფალი გზა აქვს. მე კი ხშირად იმითომ ვხედავთ, რომ ამ მდელოს ახლო დავიბადე, აგერ აქვე ტყეში, და დედა ჩემს აქ დავყვანდი სასეიროდ. პატარაობი-

დანვე შევეჩვიე ამ მდგომარეობას და მშობელ დედასავით შევეჩვიე ზევით რომ ცხოველები ჩამოვთვალე, ერთ დროს ისინი თქვენც დაგხედავენ, რა გაჩქარებთ, ჯერ ხომ მეტი ხანი არ არი თქვენის გაჩენა—არსებობისა.

—ძალიან დიდრონები არიან?—დაეკითხნენ კვალად ყვავილები.

—უპ, ზოგი მათგანი ასი ჩემოტოლაა. აბა, იმათი ფეხებია საშიში! ღმერთმა დაგიფაროთ, დათვი რომ შემოგვივარდესთ, სულ ნაცარ-მტვერად გაქცევსთ. ირმის ფეხი თუ მოგხვდათ, ხომ, თქმა არ უნდა, იქვე გაგზავნიოთ, საიდანაც მოსულხართ.

ყვავილებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და თავი გააქნიეს.

დაათვა თუ არა სიტყვები კურდღელმა, სწორედ ამ დროს მოისმა ტყიდან ფეხის ხმა, ლაწა-ლუწი, გაიშრილა ახალ, ნორჩის ფოთლით შემოსილმა წიფლის ტოტებმა და ველში გამოჩნდა ხარ-ირემი, თავის ბოჯოჯლის რქებით; ეტყობოდა, ისიც მტერს გაურბოდა, თვალებს აქეთ-იქით აფეთებდა, ნესტოებს ჰბერავდა. რამდენიმე კამარა გააკეთა და ტყეს მოეფარა, გადალახა ველი... მის ფეხებ ქვეშ რამდენმამე ყვავილმა დაიკვნესა და გაჩუმდა. სხვა ყვავილები თავზარ დაცემულნი გაშტერებულნი მიაჩერდნენ ირემს.

—ემანდე, ეგ იყო ირემი, ვახსენეთ და ვნახეთ კიდევ!—წარმოსთქვა კურდღელმა, როცა ირემი ტყეს მოეფარა და იმანაც ბალახებში ჩამალული თავი ამოჰყო.

—უპ, რა ვნახეთ რა ვნახეთო!—წარმოსთქვეს ყვავილებმა:—რამოდენა ყოფილაო!

—ეგ არაფერი, — განაგრძო კურდღელმა: — თქვენთვის საშიში უფრო ნახირია, რომელიც მოუდით აქ საძოვრად სოფლიდან მწყემსებს. ეს იშვიათად ხდება თუმცა, რადგან სოფელი შორს არის აქედან. საქონელი ისე გავანადგურებთ, რომ მდგელოზედ იქნება კლერტების მეტი აღარაფერი დარჩეს. აი, მაშინ მებრალეებით; საქონლის მოსვ-

ლა მართლა რომ დიდი უბედურება იქნება თქვენთვისაც, ჩემთვისაც,—სიტყვა კურდღელმა.

ეს რომ გაიგონეს, ყვაფილებს ტანში ჭრუანტელმა დაუარა, შეძრწუნებულნი ერთმანეთს ეკვროდნენ.

—ოი, და-და-და, ღმერთმა დაიფაროს, ღმერთმა დაგვიხსნას!—დუღუნებდნენ ყვაფილები ერთხმად.

ველის ყვაფილებმა მალლა, გარშემო დაიწყეს ცქერა; ტყის პირებში თეთრად და წითლად გადაპნტილი ჰყვავდა პანტა-მაქალოები. შეკშურდათ იმათი ბედნიერი ყოფა და შეუძახეს დაბლიდან:

—ძმებო, ჩვენც მოგვეცი თქვენთან ახლობინა!

ხილების ყვაფილებმაც მიიპატივეს, მაგრამ თანაც ეს დასძინეს:

—აქ რას მოესწრაფით, თქვე საცოდავო, მალე ჩვენც თქვენთან გაახლებითო.

დილის მზემ დააფრქვია ველს თავისი სხივები და დილის ნამი ააბქყვრიალა. კურდღელმაც მოსასვენებლად მიჰმართა ტყესა.

კურდღლის წინად-გრძნობა იმავე დღეს ასრულდა: შუადღის დროს მდელიზედ გადმოფენა ძროხის ნახირი, ხამს ბალახს ხარბად დაეცა საქონელი, გაფაციცებით ჰხოხნიდნენ ძროხები ბალახთან ერთად ყვაფილებს და უურსაც არ უგდებდნენ ყვაფილების კენესა-ჩივილს. მონაყრებული საქონელი იქვე დაეყარა და ფშვენით, ზმორვით ყბებს იქნევდა, ყურების ბარტყუნით, თავ-რქის ქნევით ბუზებს იგერებდა.

მწყემსი ხის გრილოში იჯდა და არხეინად სალაშურს უკრავდა.

თითო-ორი გადარჩენილი ყვაფილი დიდად ჰგოდებდა დაბოცილებს და თავის სვე-ბედს, ითვალისწინებდა—რა მომავალს და ევედრებოდა დედაშიწას: „დედილო, შენი კირიმე, ჩაგვაწვინე ისევ იმ აკვანში, სადაც აქამდის ვიწვეით: აღარ გვინდა მზე, აღარ გვინდა ჰაერი, აღარც ცა, არც წვიმა

და აღარც ესეთი სიცოცხლე, — შენს უბეში ყოფნა გვიჩვენია“.

— „სსსუთ, გაჩუმდით, — შემოსძახოდა ძირიდან დედა-მიწა: — ეგ აღარ გამაგონოთ. რა ვატირებთ? რა გაჩივლებთ? ვიდრე თქვენნი ფესვი ჩემს გულ-მკერდშია ჩაქსოვილი, თქვენთან სიკვდილს ხელი არა აქვს, კიდევ აპყვავდებით, შევიღებო, კიდევ გაიზრდებით. მოითმინეთ ცოტა ხანს! მაშ, რად გინდათ სიცოცხლე, თუ თქვენს სიცოცხლეს ნაყოფს არ გამოაღებინებთ, არავის გააძღობთ, არავის ასიამოვნებთ!

სალამო ხანზე ტყუიდან ჩვეულებრივად გამოითამაშა კურდღელმა და, რა დაინახა განადგურებული მისი სატრფიალო მდელი, სადაც აღარც მწყემსი სჩანდა და არსად მისი სამწყემსო, საბრალოს ეღდა ეცა; იქვე ტყის პირად დაყუნთდა. ყურები გაუნძრევლად აღმე ჰქონდა აცქვეტილი; დაჯვეტილი თვალები უფრო დაეჯკიტა, ზოლო თვალებიდან კრემლი ჩამოსდიოდა. როგორც შეილის კუბოს დედა, ისე დასტიროდა კურდღელი მდელის. ვინ იცის, თავის გულში რას ამბობდა, რასა ფიქრობდა? ველარ გაუძლო მწუხარებას და ისევ ტყეში მიიმალა, არსად ბეწვი ბალახი არ მოუწყვეტია, მოიკუნჭა თავის ლოგინში და მწარედ კვნესოდა.

დაღამდა. ახლა ველს, აოხრებულს, ცარიელ კლერტებს დასრიალებდა თავზე ნიავი და ანუგეშებდა: ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა, ილოცეთ, ილოცეთო. და... ყვავალნიც ლოცულობდნენ. „ღმერთო, გვიშველეო“! მწყემსმა შორს წაასხა საქონელი... წვიმა მოდიოდა და ალბობდა მდელის, მზე ათბობდა, ნიავი დასატირებელს სიმღერას უმღეროდა. არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ველი ისევ წინანდებურად ღაღანებდა. ყვავილების სიხარულს სამზღარი არა ჰქონდა. კურდღელიც ისევ წინანდებურად ნავარდობდა მდელიზე. ახლა აღარავინ ითხოვდა, აღარავინ ემღეროდა. ველი როდი-

ლა სჩიოდა, როცა რომელიმე ნადირი გადურბენდა მწყერი, გნოლი, კაკაბი, როცა დაგოგავდნენ მის გულმკერდზე. ისევ დასტრიალებდნენ თავს პეპელები, ფუტკარი და სხვა ათასნაირი მწერი.

მდელოზე კვალად სიცოცხლე სდულდა, ისევ კარგი, ლამაზი სანახავი იყო.

ახლა მხოლოდ დიდი, დაბურული შავი ტყე დასცინოდა, ნიშანს უგებდა: „საწყალი მდელო, მაგას ეგონა, ეგ არი მორჩა ჩემი საქმე, თავის დღეში აღყვავებას, სიცოცხლეს აღარ ვეღირსებო; ბაღლია ჯერ კიდევ, როდი ესმის ბუნების წესი და კანონი“!

ვაჟა-ფშაველა.





სიყვარული.

(ძველი თქმულება)



შენიერი მოწმენდილი ღამე იყო, ცა-ვარსკვლავებ-
ბით მოკედლილ-მოკაშკაშებული. სამარისებური მდუ-
მარება მეფობდა, მდუმარება ისეთი, რომ კიანკვე-
ლის ხმაც-კი ისმოდა.

ბეთლემისაკენ მიმავალ კლდიან გზაზე მიდიოდა ამ დროს
ორი მგზავრი, ხელი ხელს ჩაკიდებული.



ერთი მათგანი იყო ახოვანი, წამოსადეგი ვაეკაცის მშენებელი და მედიდურის სახის მეტყველებითა. მის შუბლს მუხის მწვანე ფოთლის გვირგვინი ამშვენებდა და ზურგზე სასწორი ეკიდა.

მეორე თავის თანამგზავრის ხნისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაფითრებული სახე სულ ერთიან დანაოკებოდა და უსისხლო, გამოფიტული ტუჩები მწუხარებისაგან დაღმეკოდა.

პირველს ერქვა მეცნიერება, მეორეს—ექვიანობა.

ისინი მტრები იყვნენ ერთმანეთისა. დიად, შეურიგებელი მტრები, რომლებიც ვერასოდეს ერთმანეთთან ვერ შეთანხმებულებიყვნენ, მაგრამ მიინც კიდე ერთმანეთს არ შორდებოდნენ. მუდამ ეამს განუშორებელი, ერთად შეტყუებულები დადიოდნენ ქვეყნიდან ქვეყნად, უვლიდნენ მთელ დედამიწას გარეშეშო.

რასაც კი მეცნიერება პოულობდა და ხელს ჰკიდებდა, იმის ექვიანობა თავის ცხარე და გამანადგურებელ შხამს ასხამდა. მაგრამ მეცნიერება მედგრად უდგა წინ და ყოველსავე მის მიერ დამორჩილებულ ერთ ციდა ადგილიდანაც ექვიანობას მედიდურის დაცინვით უკუაგდებდა.

ასე განუშორებლად დადიოდნენ და ურევდნენ ერთმანეთში გამარჯვებასა და დამარცხებას, ქეშმარიტებას და სიცრუეს, მეცნიერებასა და უმეტრებას, სიცოცხლესა და სიკვდილს!...

მიდიოდნენ დინჯად მგზავრები კლდიან გზაზე. ლურჯ ცის გუმბათზე ვარსკვლავებს კაშკაში გაჰქონდათ და გზას ანათებდნენ. დიადი მღუმარება მეფობდა, მღუმარება ისეთი, რომ ჰიანქველის ფეხის ხმაც-კი ისმოდა ..

— იუდას მოდგმა დაილუპაო!—წარმოსთქვა იმან, რომელსაც ერქვა მეცნიერება.

— მისი დალუპვა საუკუნო ცხოვრებააო,—მიუგო მეორემ.

— რა გინდა მაგითი სთქვა?—ჰკითხა პირველმა მამულმწოდებელმა მამულმწოდებლებთან.

— გაიგებ როდისმე! უთუოდ გაიგებ!—მიუგო ეკვიანობამ..

— ეგვიპტეში სარწმუნოება დაეცა და სრულიად გაჰკრა.

— ჩემი სათქმელი მუდამ ის იყო, რომ იმათი აპისი *) უბრალო ხარია-მეთქი!

— საბერძნეთისა და რომის ღმერთებიც მტვრად იქცნენ.

— ეგ ჩემის წყალობით მოჰხდა!

— მე იმათ მოუპოვე მცნება ჰეზმარტებისა!..

— მე წინაღვე მოვშხამე იმათი მშვიდობა და მყუდროება ჩემის ეკვიით!..

— რა იქნება ახლა?

— რა მოხდება ამას იქით?

ამგვარი მუსაიფით მგზავრები მივიდნენ ბეთლემს.

ერთ ფარეხთან, საიდანაც ბატკნების ბლავილი მოისმოდა, ნახეს სამი მგზავრი—მოგვები, ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილები.

ფარეხს ანათებდა ერთი ვარსკვლავი, რომელიც ცის კიდურზე ამის მეტად ჯერ არავის დაენახა.

— რა ამბავია აქა?—იკითხეს მგზავრებმა.

— აქ იშვა ძე კაცისა, უფალი ღმერთი, მაცხოვარი ქვეყნისა!—მიუგო უზუცესმა მოგვმა.

— უფალი ღმერთი?!—იკითხა პირველმა, რომელსაც ერქვა მეცნიერება: მე ბევრ ღმერთებს ვიცნობდი!..

— ღმერთი?!—გაიმეორა მეორემ, რომელსაც ერქვა ეკვი:—მე ბევრი ღმერთები დამიმსხვრევია და ჩამომიგდია თავიანთ საკურთხევიდან!

— რა ჰქვიან ამ ახალ ღმერთს?

— რა ჰქვიან?—იკითხეს მგზავრებმა.

— ჰქვიან სიყვარული!—მიუგო უფროსმა მოგვმა.

— სიყვარული!—გაიმეორეს სხვებმაც და გაჩუმდნენ ყველანი!..

*) ძველის დროის ეგვიპტელთ ღვთაება ნიშა ხარი.



მგზავრები-კი, რომელთაც ერქვათ ექვი და მეცნიერებას...
 ჩუმად განშორდნენ ფარებს და გაუდგნენ კლდიან გზას...
 შორს არ წასულან..

ლურჯ ცის გუმბათზე ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. სა-
 შინელი მღუმარება იყო, ისეთი, რომ ჭიანჭველის სიარულიც
 კი ისმოდა..

— იცი, რა არის სიყვარული?— იკითხა ექვმა.

— არა, არ ვიცი, რა არის სიყვარული! მაგრამ შენ...
 შენ კიდევ ექვიანობ?

— არა!.. წარმოიდგინე, რომ არა!.. ეს პირველია ჩემს
 სიცოცხლეში, რომ აღარ ვექვობ! მე ახლა თავს კარგადა
 ვგრძნობ.

— მე-კი...

ამის მეტი იმათ აღარა უთქვამთ-რა და თითქო პირობა
 ჰქონიათ დადებულიო, ორივენი ისევ ფარებისაკენ გამობრუნ-
 დნენ.

მივიდნენ რა ფარებთან, სასოებით ემთხვეინ იმის კარებს.
 მეცნიერებამ მუხლი მოიყარა სიყვარულის წინაშე, ექვიანო-
 ბამ თავი მოიხარა. ცის კიღურზე ბღღვრიალებდა შესანიშ-
 ნავეი ვარსკვლავი, რომელიც ამის მეტად ცაზე არავის უხი-
 ლავს..

იყო მღუმარება და მყუდროება, მღუმარება ისეთი, რომ
 ჭიანჭველის სიარულიც-კი ისმოდა... ამ მღუმარებაში რალაც
 იდუმალი ხმა ჩურჩულებდა:

„მშვიდობა და სიყვარული, კაცთა შორის სათნოება“!

თეო კანდელაკი.





ს უ რ ა თ ი.

შანთიადისას ცისკარი
გლაქვარდში ჰკრთოდა, ღვიოდა;
ცას, ნეტარების ცრემლის წილ,
წმინდა ცვარ-ნამი სცვიოდა.

მთა-კლდის ნაყური ნაკადი
მოექჩაროდა ბარადა;
ესხურებოდა ყვავილებს
უკვდავებისა ცვარადა.

მზის მოლოდინში მიდამო
ირთოდა სათუთ-ნაზათა;
სურდა შშუქარე მის სხივებს
გაშლოდა ფიანდაზათა.

აღმოსავლეთიკ განათდა,
ბჰყვრიალებს ვარდის ფერადა;
მეც მას გავყურებუ.. ველი მზეს
ფანდურის ასაქლგრადა!

გ. ქუჩიშვილი.





ქვემოთ
წარმოვს

დიდუბის მაკიეპელი.

(შემდგვი)

VI



აღე დიდი უბედურება ეწვია ჯაფარის სამშობლოს. დაიწყო მძვინვარე ომი.

მეზობელ სამეფოს ხალიფა ეძებდა შემთხვევას, რომ დაებრუნებინა პირველ ბრძოლაში ჯაფარის მიერ დაპყრობილი ქალაქები. ახლა-კი

ჯაფარის მხარის ხალიფა ვერ გაუმაგრდა მეზობელ სამეფოს ხალიფას და

დამარცხებულ იქმნა ბევრი ქალაქები, მათში მოსულიც, დაიპყრეს და გაანადგურეს. მცხოვრებთა შორის უფრო საგრძნობლად დაიტანჯა მაჰმედ-ალი. მტერი შურსა ძიობდა ჯაფარის მამაზე. მოსულში რომ ვერ იპოვეს ჯაფარი, რაც რომ ჰქონდა მოხუცს მაჰმედ-ალის, სულ აიკლეს და გააცამტვერეს. გაჰქრა საუკუნოებით ნაღვაწი საუნჯე, დაიწვა მაჰმედ-ალის სასახლე; მოსამსახურეები დაილუპნენ ზოგი ბრძოლაში და ზოგიც ტყვედ იქმნა წაყვანილი. მაგრამ ყველაზე აუტანელი იყო მოხუცისათვის, როცა ჰხედავდა ტყვედ ქმნილს, ხუნდებით შემოკილს და თავში დაკრილს, წყნარს, თავმდაბალს თავის შვილს ნურედინს—სიხარულს და ნუგეშს სიბერისას. არა მარტო მამა და ოჯახი ნანობდა ნურედინს, არამედ მთლად მცხოვრებნი მოსულისა; ღარიბნი და ქვრივ-ოხერნი მოთქმა-ტირილით აცილებდნენ, ის კი მიდიოდა წყნარად

და დამშვიდებით, მხოლოდ ცრემლით სავსე თვალღმარაღმსწარმანად მიაპყრობდა სამშობლოს და მეგობარ-ნათესავეებს.

მაჰმედ-ალი არა ნანობდა არც დაკარგულ სიმდიდრეს, არც უწინდელ მედიდურ ცხოვრებას. გული უკვნესდა, როდესაც იგონებდა უმცროს შვილს და ჰხედავდა უნუგეშო ნაღველს ნურედინის მეუღლის. დარდისა და ცრემლისაგან მოხუცს მხედველობა მოაკლდა და მალე სრულიად უსინათლო შეიქმნა. მაჰმედ-ალი დაიღუპა, დაუსინათლოვდა, მაგრამ მიინც უწინდებურად სასარგებლო იყო ხალხისთვის: იგი წყებდა პირად უბედურებას, როცა ჰხედავდა მოყვასის გაჭირვებას და ჰფიქრობდა როგორ შეემსუბუქებინა როდესაც გაივლიდა ხოლმე ქუჩაში წელში მოხრილი ძველის ტანისამოსით, ხალხი კვლავინდებურად სიხარულით ეგებებოდა; ყველა თავისკენ მიიწვევდა დასასვენებლად და ღონის მოსაკრებად. ამ დროს ბევრი მიჰმართავდა რჩევა-უნუგეშისათვის. მოხუციც სწუხდა და საკუთარ ტანჯვად მიაჩნდა მათი დარდი და გაჭირვება. ვახდა ნამდვილი მამა და მეგობარი ყველა ქვრივ-ოხერისა, რომელნიც წინად ნურედინთან ჰპოებდნენ ნუგეშსა და დახმარებას. უყვარდა მათთან ყოფნა და ღმობიერებით უსმენდა, როცა ისინი ოხვრით იგონებდნენ და გატაცებით უამბობდნენ მოსიყვარულე და მოწყალე ნურედინის ამბავს.

მეგობრები აძლევდნენ მაჰმედ-ალის არა მარტო გაწყობილ სახლ-კარს, არამედ ფულსაც, რომ განეახლებინა ვაჭრობა. მაგრამ გადაჭრით უარს ამბობდა ყველაფერზე და თავის უბედურებას ალლაჰის ნებას მიაწერდა. იღებდა ხალხისაგან აუცილებელს, რომ სიმშლით არ მომკვდარიყო. ყველას უკვირდა მისი ასეთი მოთმინება და მხნეობა აუტანელ მდგომარეობის ემას. მაგრამ ვინ მიჰხვდებოდა, თუ რა ცეცხლი ენთო მის გულში, ან ვის შეუნიშნავს, როცა უბედური მოხუცი იჯდა სახლის ბანზე, სწუხდა, ოხრავდა და საბრალოდ გაიძახოდა: „შვილებო, ჩემო შვილებოო.“



VII

მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოჰკრა ყური მოხუცის ჩივილს. ის იყო ჯაფარი, რომელიც დაბრუნებულიყო უდაბნოდან. დიდხანს ვილოდა და კვლავ ეძებდა დიდების გზას; და ბოლოს დაუძღურებული, გონება მისუსტებული თავს სახელოვან საქმის ღირსად აღაჩა სთვლიდა. სასო წარიკვეთა და ჰფიქრობდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა, თავი მოეკლა. მიჰმართა სამშობლოს, რომ უკანასკნელად ენახა მამა და ძმა და გამოსთხოვებოდა. გზაზე მცხოვრებთაგან გაიგო ქალაქის დაღუპვა და თავის ოჯახის უბედურება. ამ ამბავმა გაამწარა ჯაფარი, იტანჯებოდა, რომ მისი თავგამოდებით ბრძოლა სახელისა და დიდებისათვის იყო მიზეზი ამ უბედურებისა. ღამე იყო, როდესაც ჯაფარი მიადგა ქალაქს. ემწუხრებოდა დაენახა ნანგრევები იმ ადგილს, სადაც წინად მამის სასახლე იდგა და დაღონებულმა დაიწყო უგზო-უკვლოდ სიარული აოხრებულ და დაცარიელებულ ქუჩებში. ბევრის ხეტიალის შემდეგ, შენიშნა დიდის სახლის ბანზე წელში მოხრილი მოხუცი. გამხდარი, დანაოკებული ხელები მოეხვია მუხლებზე და აქეთ-იქით ერწეოდა მოსაწყენად. ჯაფარის ყურამდის მიაღწია მისმა საბრალოდ კვნესა-გოდებამ.

„შვილებო, ჩემო შვილებო.“ მღელვარებით შეჰხედა ჯაფარმა მთვარის შუკით განათებულს ბრმა მოხუცებულს სახეზედ და იცნო თავისი მამა; ის იყო უნდა კიდევ მოეხმო იგი, უცბად დაინახა, რომ ბანზე გამოვიდა ნურედინის ახალგაზრდა ცოლი, რომელიც დაემხო მუხლებზე მოხუცის წინ, თავი მხრებზე დააყრდნო და გულსაკლავად დაიწყო ოხვრა-ჩივილი.

მოხუცი აღერსით უსვავდა ათრთოლებულს ხელს მშვენიერს თავზე და წელის ხმით რაღაცას ეუბნებოდა.

ჯაფარმა გაიგონა უკანასკნელი სიტყვები:

— იმედი მაქვს, ჩემი შვილი ჯაფარი დაბრუნდება ისევ ჩვენთან, და მაშინ ჩვენ ასე მარტონი აღარ ვიქნებით.

მაგრამ აღფაიშამ, ნურედინის ცოლმა, უიმედოდ გაიქნია თავი და სთქვა:

— ჯაფარი ვერ გასწევს ნურედინობას: ის ჩემთვის ხოა, მე იმას ვერც კი ვიცნობ. ის არ არის დაბადებული ოჯახისა და შრომის შვილია, — იმას უყვარს მხოლოდ თავისი თავი და ეძებს მხოლოდ სახელსა და დიდებას.

— ეგ მართალია, ალფაიმა, — ნაღვლიანად უთხრა მოხუცმა; — მაგრამ შენ არ იცი, როგორი პატიოსანი გული აქვს; იმან რომ იცოდეს ჩვენი უბედურება, უეჭველია, რომ თავს დასდებდა ჩვენს საშველად.

ალფაიმამ მიინც მწუხარებით დასძინა:

— არასოდეს არ ვაპატიებ ჯაფარს, რადგან ის არის მიზეზი ჩვენის უბედურებისა. ჯაფარი რომ არ ყოფილიყო, ნურედინი ახლა ციხეში არ იჯდებოდა. ჯაფარს აღარ შეეძლო მოსმენა ასეთის საყვედურისა. ყოველი სიტყვა გულს ლახვრად ესობოდა. წასკდა ცრემლი სინანულისა და შებრალებისა, თავში იტაცა ხელები და გაბოროტებული გაექცა იქაურობას.


შეჩერდა მაშინ, როცა ქალაქს გამოსცილდა; აქ დაეცა მუხლებზე და ასე ტირილით შესთხოვა ალლაჰს მიეღო მისი მონანიება და ესწავლებინა, თუ რა მოგვევარებინა. მთელი ღამე ლოცვასა და ფიქრში გაატარა, და დილით უკვე იცოდა, რა გზასაც უნდა დასდგომოდა.

მიწის პირამდის მოუხარა თავი სამშობლო ქალაქს ჯაფარმა და გაუდგა გზას. მიდიოდა ერთი სოფლიდან მეორეში, ქალაქიდან ქალაქში, მათხოვრობით იკვებავდა თავს და კითხულობდა გზას მოპირდაპირე ხალიფას სატახტო ქალაქისას, სადაც ტყვედ ჰყავდათ იმისი ძმა.

ელო შანშიაშვილი.

(დასასრული იქნება)





ცხრა წყაროზე.

(მგზავრის წერილი)



ერ ცას დილის ბურუსი არ გადაეყარა და თავისი გულ-მკერდი არ გადაეშალა ქვეყნისათვის, როცა ჩვენ, რიცხვით 15 კაცამდის, ბაკურიანის რკინის გზის შტოზედ მდებარე პატარა სად. ცემიდან გავსწიეთ ცხრა წყაროზე მზის ამოსვლის სანახავად.

დილა თინჯლიანი შეგვხვდა; ვერც ერთი სხივი მზისა ვერ გასხლტომოდა ცის სივრცეზედ მონავარდნე ნაცრის ფერ ღრუბლებს, თუმცა კი განთიადის სუსტი სინათლე შეუმჩნევლად ძლიერდებოდა და ნელ-ნელა ეფინებოდა ცის სწორე, განიერ და ერთფეროვან პორიზონტს. შემოდგომის დილისავით, ნაღვლიანს რიქრავს, განთიადის ტკბილ იღუმალებას ხან-

გამოშვებით არღვევდა სუფთა, ჰაერში მონავარდებულს ფრთოვან მერცხლებს ქიკიკი-გალობა.

ჩუმიდ მივაბიჯებდით ბორჯომის ხეობის ნაძვ-ფიჭვნარით დაბურულ ბილიკებზე და ყველანი თითქოს შეპყრობილი ვიყავით ამ ნაღვლიან და ამასთანავე მშვენიერ და თვალ-წარმტაც ბუნების ბუმბერაზობით.

შეუძლებელია სიტყვით გადმოცემა იმ ნეტარებისა, იმ სიტკობებისა, იმ აღფრთოვანებისა, რომელსაც განვიცდიდით ჩვენ ყველანი, როდესაც უმზერდით ამ ტურფა დილას.

ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ცამ შავ-ბნელი სამოსელი გადაიხადა და აღმოსავლეთიდან მოყოლებული ნელ-ნელა გადაგვიხსნა თავისი გულ-მკერდი.

მთის ფერდობიდან და დაბურულ ტყით შეფენილ კალთებიდან ღამე ნათევი, ნამძინარევი ბურუსი შეინძრა, შეშფოთდა, მღელვარე ზღვასავით გაიზღაზნა, ნელ-ნელა გასწია მალლა ცისაკენ და იქ ღრუბლებს მეგობრულად ჩაეხლართა, — ჩაეკინძა.

ნახევარ საათს შემდეგ, სომლიას მთების გადაღმიდან თავი ამოჰყო მზემ, სხივები მოედნენ ცის კამარას, ბრწყინვით დაიწყეს ნავარდი მის თვალ-უწევდენელ სივრცეზედ და შვიდ-ფეროვნად ააქრელეს შორს დასავლეთი.

მზის სხივების სითბოთი გაცხოველებულნი უფრო მეტის ხალისით შეუდექით გველივით დაკლაკნილ აღმართ ბილიკებს, რადგან გვინდოდა, სანამ მზე ჩაგვისწრობდა, მივსულიყავით დანიშნულ ალაგს, შუა გზაზედ კოტა შევისვენეთ, ხელდახელ შევნაყრდით, ზედ მთის ცივი წყარო დავაყოფეთ და ისევ გზას შეუდექით.

აი, გავცდით ბორჯომის ხეობას და შეუდექით მთების ფერდობს.

აქ ბუნება შესამჩნევად იცვალა: ნაძვ-ფიჭვნარით შეფენილ ფერდობების მაგივრად, თვალ წინ გადაგვეშალა ხრიო-



კი მთები, ზოგან მოტიტვლებულ-კლდოვანი, ზოგან მწვენივანი ბალახით დაფარული. თუმცა ძლიერ მოვიქანცენით, მაგრამ მაინც მომეტებულის სიჩქარით შეუდექით ამ მთას და, ჩვენ-და მოულოდნელად, საათ ნახევარს შემდეგ, ჯავახეთის მთების ერთ-ერთ მწვერვალს მივადწიეთ. აქედან აღმოსავლეთის მხარეს შევამჩნიეთ რამდენიმე შენობა და დავაპირეთ მისკენ წასვლა, მაგრამ აზრი შევიცვალეთ: გაგონილი გვექონდა, ამ მთის გადაღმით უნდა ყოფილიყო **ტაბაწყურის ტბა**, რომლის ისტორიული წარსული და ხალხური ზეპირ-გარდმოცემანი ძლიერ საინტერესოდ გვექონდა ყველას.

გულმა ველარ მოგვითმინა და გავსწიეთ იქით.

დასავლეთი უკვე წითლად იღებებოდა. ნახევარი მზე შორს მთის მწვერვალს ჩაესვენა: მისი სხივები სხვა და სხვა ფრად ელვარებდა ცის სივრცეზედ: ხან ბრწყინვალედ იწყებდა ციმციმს და სისხლის ფრად ჰღებავდა ცის კამარას, ხან შიმკვდარდებოდა, შიმქალდებოდა, თითქოს ბინდ-ბუნდში გახვეულ დედამიწას სათვლემად იწვევსო, ხან გასხლტებოდა შორს და იქ, ღრუბლების ნაფლეთებს შორის ჩახლართულ-ჩახუტებული, აღმოსავლეთის მიბნედილ ცაზედ მკრთალ ნამგალა მთვარეს მეუფებას ულოცავდა.

გადავედით თუ არა ქედს, საღამოს გრილმა სიომ შემოგვიბერა, დაღალულ-დაქანცული სხეული გავგიგრილა, ძალა შეგვმატა.

გადავედით თუ არა ქედს, თვალ წინ გადაგვეშალა მომხიბვლელი, მხატვრულ მშვენივრებით შემკული სანახაობა: განიერი, თითქმის თვალ-უწვდენელი ტბა, ანკარა, ლაყვარდ ფეროვანი, მზის უკანასკნელ ფერ-მიხდილ სხივებს თავის მობიბინე ზედაპირზედ ცელქად და ტრფიალით არხევდა, ათამაშებდა. ბინდ-ბუნდით მოკული არე-მარე რაღაც ტკბილ ნაღველით ავსებდა გულს; უზარ-მაზარ მთებით გარშემორტყმულ მიდამოზედ ცელქად დანავარდობდა სუბუჭი, ყვავილებისა და ბალახების სურნელოვან ფშვინვით გაჟღენთილი ნიავი.

კორდზედ ჩამოვსხედით.

ერთმა ჩვენმა თანამგზავრთაგანმა, რომელსაც არა ერთხელ დაეთვალეირებინა ეს მშვენიერი კუთხე ჩვენის ქვეყნისადა რომელიც, ცოტად თუ ბევრად, იცნობდა ჩვენს ისტორიულ წარსულს, შემდეგი გვიამბო:

— ეს მიდამო, — დაიწყო მან, საზღვარია უწინდელ საქართველოს იმ ნაწილისა, რომელსაც მესხეთს უწოდებენ. უწინდელი მესხეთი თავის სივრცით და მცხოვრებთა რიცხვით თითქმის სკარბობდა მთელ ქართლ-კახეთს.

მის ისტორიაში უნდა გავარჩიოთ ორი ხანა: ერთი — როდესაც ეს მხარე საქართველოს კუთვნილება იყო, მეორე, კი — ხანა ოსმალთა მფლობელობისა. პირველი ეპოქა (მე-XVII საუკუნემდის) იყო ხანა საქართველოს ალყვაებისა, მის პოლიტიკურ ძლიერებისა: მესხეთიც, ამ საუკუნოების განმავლობაში ჩვენის ქვეყნის ერთ დაწინაურებულ ნაწილად ითვლებოდა. თითქმის ყველა ჩვენი სახელოვანი წინაპარნი, წარჩინებულნი მამანი, სხვა და სხვა საღმრთო თხზულებათა მთარგმნელნი, პოეტები, მესხეთის შვილნი არიან: შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, გიორგი მთაწმინდელი, წმინდა ექვთიმე და სხვანი შეადგენენ უწინდელ მესხეთის დიდებას.

მაგრამ მე-XVII საუკუნეში მესხეთის მზე სამუდამოდ ჩაესვენა: ხარბმა ოსმალეთმა აისრულა თავისი დიდის ხნის წადილი და დაიპყრო.

მას შემდეგ, თუმცა 1828 წელს რუსეთმა მოსპო ამ მხარეზე ოსმალთა ბატონობა, მაგრამ მესხნი ვერ შეურიგდნენ ამ გარემოებას და თითქმის ნახევარმა მათგანმა ისევ ოსმალეთში გადასახლება არჩია. მესხეთის უწინდელ დიდების პოლიტიკურ თვით არსებობის და გაძლიერებულ ცხოვრების მოწმეთ ახლა აქ, ჩვენ თვალწინ ვხედავთ: ეს ტბა ხელოვნურად არის შექმნილი თამარ მეფის მიერ! ამბობენ, იგი არხებით არის გამოყვანილი უზარმაზარ მთის გადაღმა მდ. ქციი-



დანაო, აგერ, ხომ ხედავთ, ტბის შუა გულში მთბანდა მტკნარი წყალი. დინგივით რომ შექრილა; ამ ფერდობზე ერთ დროს იყო ქართველთ სოფელი წითელი საყდარი, სადაც ახლა მხოლოდ სომხები მოსახლეობენ. მის გვერდით მოსჩანს კიდევ მეორე სოფელი ხუმრისი, ესეც სომხებით დასახლებული, სადაც ძველად სდულდა ქართველთ სიკოცხლე.

აქ არის ძველი ნაშთი — ქვით ნაშენი ეკლესია წმ. გიორგისა.

ბინდ-ბუნდმა დაჰფარა არე-მარე, როდესაც ჩვენმა თანამგზავრმა დაამთავრა ამ ჩვენის სამშობლო კუთხის წარსულ დიდებისა, მის აწმყო დაქვეითებისა და ჩვენს წინაპართა თავგანწირვის შესახები ლაპარაკი.

მოქანცულნი დავეშვით ისევ თავდაღმართზე და, ცოტა ხანს შემდეგ, მივადექით ფარდულეებს, რომლებიც ეკუთვნის ბორჯომის ხეობის მფლობელს დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს.

აქ, ამ ფარდულეების მოხუცი ყარაული ცხელ-ცხელის კალმახით გაგვიმასპინძლდა და ჩვენც — დალილილ-დამშეული ხალხი-ყველანი ქამად გადავიქექეთ.

კარგა შეღამებული იყო, როცა ყველანი წამოვიშალენით და დასაძინებლად გავეშურეთ.

ჯერ ისევ დილის ბინდ-ბუნდი იყო, როცა ჩვენმა მასპინძელმა გავგაღვიძა.

დილის სუსხმა ყველანი წელში მოგვღუნა, მაგრამ ბუნების სიყვარულმა დაგვძლია და გარედ გამოვიშალენით.

პირის დასაბანად კლდის ნაპრალიდან მოჩუხჩუხე წყაროს მივატანეთ; აღმოჩნდა, რომ ეს წყარო ყოფილა ის „ცხრა წყარო“, რომელიც ჩვენ ასე საინტერესოდ მიგვაჩნდა. ანკარა, მოკამკამე, ჩხრიალ-ჩაკრაკით გადმორბოდა განიერ და სიბ ქვიდან და შემდეგ ძირს კლდოვან დაღმართში ბუჩქებს და ეკლებს შუა იკარგებოდა.

თვით ამ წყაროს სათავე ვერ ვნახეთ, რადგან გვეჩქარე-

ბოდა, დამტკბარიყავით იმ საოცარ სანახაობით, რომელიც მზე გვიმზადებდა. ჩვენმა მასპინძელმა-კი აგვიხსნა, რომ ზევით კლდით დაფარულ ზღუდეში ცხრა, სწრაფა ერთმანეთის მომდევნო წყარო გადმოჰქუხს და შემდეგ ერთ ძლიერ ნაკადულად არის გადაქცეულიო.

სრულიად გათენებული იყო, როცა ისევ წინა საღამოს კორტოხს მივატანეთ. ახლა ჯავახეთის მიდამოები უფრო ნათლად გადაგვეშალა თვალ-წინ.

ამ მომხიბლველ სურათს ზედ ერთობოდა ტკბილი, სიკაცხლით სავსე, არეული ჰარმონია ფრინველთ ეივილ-ხივილისა. ყოველი არსება ცხოველ-მყოფელ მზის სხივების მოლოდინში ერთხმად ღებინობდა, მხიარულობდა.

ჩვენი ყურადღება მთლად აღმოსავლეთისკენ იყო მიქცეული. მხატვარი, რომელიც ჩვენთა თანამგზავრთა რიცხვში იმყოფებოდა, ბუნების დიად სურათის გადაღებას აპირებდა. ხელში ბეწვის ყალამი ეჭირა და გაშტერებული მოუთმენლად გაჰყურებდა ცის სპეტაკ კამარას.

აგერ აღმოსავლეთს წითურმა ფერმა გადაჰკრა, შემდეგ იგი უფრო გამუქდა, ნელ-ნელა ბრწყინვა იწყო და ცის სივრცეს ზედ საბნად გადაეფინა.

ბოლოს დარბაისლურად, ნელის ცურვით ამოჰყო თავი დღის მანათობელმა და სისხლის ფრად შეღებილ მთის მწვერვალს მოელვარე გვირგვინად თავს დაადგა.

ერთ წამს ცეცხლებრივ აენთო მთლად აღმოსავლეთი: მზის სხივები ჯერ ცას ეკვეთა, თითქოს შესთხოვა ზენაარს ლოცვა-კურთხევა, შემდეგ ცის ფირუზ სივრცეზე მოსეირნე თეთრ ღრუბლების ნაქრებში ჩაიხლართა, დაიმსხვრა და ბოლოს ძირს დედამიწაზე დაეშვა. აქ ტბის ზედა პირზე რამდენჯერმე გაიღევა, ცივი, ანკარა წყლით პირი დაიბანა და ქვეყნის დასათბობად და გასაცხოველებლად ისევ ცის სივრცეზე გაიფანტა.




ეროვნული
მუზეუმი

კიდევ დიდხანს შევსცქეროდით ბუნების ამ მთაწველიან ბელ სურათს, შემდეგ ჩქარის ნაბიჯით დაღმართზე დავეშვიტეთ და ჩვენს პატარა სადგურისკენ გავსწიეთ.

ნახევარი გზა გავლილი გვქონდა, როცა მოგვაგონდა ჩვენი მხატვარი: აღმოჩნდა, რომ ბუნების ძლიერ მშვენიებას იმდენად მოეხიბლა და დაემონავებინა, რომ თავის ბეწვის ყალმის მოსმა განიერ ტილოზე მარტო მხოლოდ ერთხელ მოესწრო.

შალვა ტატიშვილი.





სინათლა და მისი მნიშვნელობა.

(შემდეგი *)


სტრონომიულმა აპპარატებმა მოუახლოვა ადამიანს ცის სხეულები და გააცნო; ახლოს დაუყენა ციურნი მნათობნი, შეაგნებინა ის ბუნების კანონები, რომელიც განაგებს ქვეყნიერების ამ დიდ ნაწილთა ბედ-იღბალს, და გააქარწყლა მისი ძველი ცრუმორწმუნე შეზღუდულება. მკითხველს ალბად ბევრგზის გაუგონია და უსწავლია კიდევ, ვითომც დედამიწა იყოს საშვალო უძრავი ადგილი ანუ ცენტრი მთელის ქვეყნიერებისა და ვითომც ამ ცენტრს გარშემო ტრიალებდნენ: მზე, ვარსკვლავები, მთვარე და სხვა პლანეტები, რომლებიც ვითომ სავალდებულო სამსახურს უწევენ ღვთის მიერ რჩეულ არსებას — სპეციალურად შექმნილ ადამიანს, აძლევენ-რა მას სინათლეს და სითბოს. ეს ყოველად უსაფუძვლო აზრი მომდინარეობს ძველთა-ძველ დროიდან, როდესაც ადამიანს ბავშვური წარმოდგენა ჰქონდა ბუნებისა და ქვეყნიერების შესახებ, და ნამდვილი მეცნიერება ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაშინდელი მეცნიერებიც-კი ასე ჰფიქრობდნენ იმ დროს და ამ აზრს ისე მტკიცედ ჰქონდა გადგმული ფესვები, რომ იმის წინააღმდეგ ლაპარაკი შეუძლებელი იყო, რადგანაც სდევნიდნენ და სჯიდნენ ყველა იმათ, ვინც გაბედავდა ძველ

*) იხილე „ნაკადულის“ მე-11 №.



მოძღვრების ლარყოფას, როგორც საღმრთო წერილის წინააღმდეგობას. მაგრამ აღამიანის ცოდნის მოყვარე გონებანს ის ძვირფასი თვისება აქვს, რომ ვერც ძველი რწმენა, ვერც შეშინება, ვერც ვერავითარი მოჰყიდველი აღთქმა ვერ აჩერებს მის მოძრაობას, მის მუდმივ კვლევა-ძიებას. ის ყოველთვის ახალს ეძიებს, ძველს კრიტიკით ეპყრობა და, ადრე თუ გვიან, კეწმარტებას უახლოვდება. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. თუმცა ყოველნაირი დაბრკოლება არსებობდა, მაინც გაჩნდნენ ახალი მეცნიერები, რომლებმაც გაბედულად ამცნეს კაცობრიობას, რომ დედამიწა კი არ შეადგენს ციურ სხეულთა ცენტრს, არამედ მზე, რომლის გარშემოც ტრიალებენ პლანეტები—მათ შორის დედამიწაც. ამ მოძღვრების პირველი მქადაგებლები იყვნენ: კოპერნიკი, ჯიორდანო ბრუნო და გალილეი, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის მეცნიერები. შეინძრა ქვეყანა, ალაპარაკდნენ მეცნიერები, განრისხდა სამღვდლოება და დასწყევლა კოპერნიკის თბზულება. კოპერნიკს დიდხანს აღარ დასცლია, ისე მალე გარდაიცვალა, რომ ვეღარ იბრძოლა ახალ იდეისთვის. მის მოძღვრების შემკვიდრე და მოციქული ჯიორდანო ბრუნო, რომელმაც უფრო გააფართოვა კოპერნიკის სწავლა, მავნებელ კაცად გამოაცხადეს, 8 წელიწადს საპყრობილეში აწვალეს,—უნდოდათ გადაეთქმევინებინათ მისი ღრმა რწმენა, და რომ ეს არ გაუვიდათ, კოცონზედ დასწვეს რომში 1600 წელს. ასე ძლიერი იყო მაშინ მეცნიერების წინააღმდეგი ცრუ-მორწმუნეობა, და ამ უკანასკნელის დასამარცხებლად საჭირო იყო ახალი მძლავრი საბუთები, ახალი იარაღი, რომელიც უფრო თვალსაჩინოდ ჰყოფდა მეცნიერთა სიმატლეს. ასეთ მძლავრ იარაღად მეცნიერებას მოევლინა ტელესკოპი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი შეიქმნა ცის სივრცის სიღრმეში ჩახედვა და იქაურ საიდუმლოების ხილვა. ეს იყო 1608 წელს, როდესაც ჰოლლანდიაში აღმოაჩინეს ოპტიკური შუშების გამადიდებელი თვისება, რასაც შედეგად მოჰყვა შორს საქვრე-

ტის აპპარატის მოგონება. 1609 წელს ერთი ასეთი მენტი იტალიაშიც მიიტანეს, რომლითაც ისარგებლა იქაურ-



ტელესკოპი

მა მეცნიერმა გალილე-
მ და გააკეთა ტელეს-
კოპი. ამ იარაღის შე-
მწეობით გაარჩია მთვა-
რებზედ ის ლანდი, რომელიც კაცის მზგავსად ეჩვენებოდა უიარალო თვალს, და დარწმუნდა, რომ ეს არის მთვარის მთები; აღმოაჩინა ახალი ვარსკვლავები და ერთის პლანეტის თანამზავრები; აღმოაჩინა, რომ პლანეტები თავის ღერძის და მზის გარშემო ტრიალებენ. დედამიწა, როგორც პლანეტა, ექვემდებარება ამ საზოგადო ბრუნვის კანონებს, — იგიც იმათ მზგავსად ბრუნავს

ღერძის ირგვლივ და მოგზაურობს მზის გარშემო. ამ გარამოებაში საშინელი თავზარი დასცა მოწინააღმდეგეთ და, თუმცა ისინი თავისას არ იშლიდნენ, და 70 წლის მოხუცი მეცნიერი იძულებულ ჰყო სამღვდელოებამ უარყო საბარების წინაშე მიწის ბრუნვა, ¹⁾ მაგრამ მეცნიერებამ მიინც თავისი გაიტანა: ახალმა სწავლამ ნელ-ნელა, მაგრამ მკიდროდ გაიდგა ფესვე-

¹⁾ ამბობენ, გალილეიმ, ფიცის გათავების შემდეგ, დაჰკრა მიწას ფეხი და წაიმოიძახა: „მიწა მიინც ბრუნავსო!“

ბი შემდეგ შთამომავლობათა გონებაში; მეცნიერებმა, ჯობესეს ტელესკოპი, შეიძღეს ბევრი დიდებული აღმოჩენა, განვითარდა ასტრონომიული მეცნიერება, და ძველი კერპები საზუღამოდ დამარცხდა.

აქედან იწყება დიდი დღესასწაული მეცნიერების გამარჯვებისა, აქედან დგება ახალი ხანა ადამიანის გონებრივ განვითარებისა ისტორიაში. ამის შემდეგ განათლებულ კაცობრიობას აღარ სჯერა ის ზღაპრები, ვითომც დედამიწა და ადამიანი შეადგენდნენ ქვეყნიერების ცენტრს, ვითომ მათ ემსახურებოდეს ყოველივე იმათ გარშემო მყოფი. ამის შემდეგ ყოველსავე სიმართლის მზგავსებას ჰკარგავს ის თქმულება, ვითომ მზის გაჩერება შესაძლებელი ყოფილიყოს ოდესმე, ადამიანის სურვილისამებრ.

ამავე დროს ახალ სწავლის სინათლეში საუკუნოდ გაქრა ასტროლოგია ანუ ვარსკვლავების საშუალებით მარჩიელობა (მკითხაობა), რომელსაც ბევრი მორწმუნე ჰყავდა ძველად და საშუალო საუკუნოებში. რაკი წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ ქვეყნიერება ადამიანისთვის არის გაჩენილიო, იმასაც ფიქრობდნენ იმ დროს, დედამიწისა, და ადამიანის ბედს კავშირი აქვს ვარსკვლავებთანაო. ადამიანის ბედის სარჩევად ასტროლოგები ნიშნავდნენ ცის მნათობთა მდებარეობას მის დაბადების დროს, და შემდეგ აქედან გამოჰყავდათ (ალოაჰმა უწყის—რად!) რაღაცნაირი ყოვლად ახირებული დასკვნა. მაგალითად, პლანეტა იუპიტერის ერთ ერთ მდებარეობის დროს იბადებოდნენ, ასტროლოგების აზრით, ეპისკოპოსები, გუბერნატორები, დიდებულები, მსაჯულები, ფილოსოფოსები, ვაქრები და სხვ. მარსის ერთ-ერთი მდებარეობის დროს—მხედრები, კაცის მკვლელები, ექიმები, ყასბები, მზარეულები, მეპურეები. ვინც მარსის გავლენის ქვეშ იყო, უსათუოდ მკაცრი შეუწყნარებელი, ჯიუტი, გულდიდი, ჭინჭელი, გულადი, თავხედი და მატყუარა უნდა ყოფილიყო.


რალად უნდა გაგვიკვირდეს ამისთანა დროში ხალხის შიშინაობა, როდესაც ახალი ვარსკვლავი ან კომეტა (კუდიადნი ვარსკვლავი) გამოჩნდებოდა, — ხალხს ეგონა, ეს რაღაც ცვლილებას მოასწავებს ქვეყანაზედაო. ასეთი შიშინაობა დღემდისაც დარჩენილია უბრალო ხალხში ყველგან და კერძოდ ჩვენშიაც. განსაკუთრებულ აღელვებას იწვევდა კომეტა, რომელსაც ხანდისხან ერთობ დიდი სიერცე უკავია. ხალხს ის ღეთის რისხვა ეგონა და შიშის გავლენით რა არ ელანდებოდა! 1528 წლის კომეტის შესახებ აი რას გადმოგვცემს ერთი ავტორი: „ეს კომეტა იყო ისეთი საშინელი, ისე შეაძრწუნა ხალხი, რომ ზოგი ძალიან ავად გახდა და ზოგი დაიხოცა შიშით. კომეტა იყო ვეებერთელა სიგრძის მნათობი, წითელის ფერისა. მის თავში მოსჩანდა შეკუმშული ხელი, რომელსაც დასაკრავად მომზადებული ხანჯალი ეჭირა. ხანჯლის წვერთან მოსჩანდა სამი ვარსკვლავი. კომეტის აქეთ-იქეთ გვერდებზე სჩანდა სისბლიანი ნაჯახები, დანები, ხმლები და იმათ შორის საშინელი, თმა-წვერ აბურძგნული კაცის სახეები“. 1456 წელს ასეთივე თავზარი დასცა ევროპიელთ გალღეის კომეტამ. სამის წლის წინად სტამბოლი დაიპყრეს ოსმალებმა, და კომეტა რომ გამოჩნდა, ხალხმა იფიქრა, ვაი თუ ევროპაც ოსმალებს ჩაუვარდეთ ხელში, და ქრისტიანობაც დაიღუპოსო. ქრისტიანებს ოსმალების ხმალი ელანდებოდათ კომეტას სახით და ოსმალებს-კი — ჯვარი. კათოლიკების პაპმა კალიქსტე მესამემ გამოაცხადა, ყოველ დღე შუადღისას ერეკათ საყდრებში ზარები, ეკითხათ ლოცვები და ეწყევლოთ ოსმალები... თუ ვინმე წარჩინებული მოკვდებოდა კომეტას გამოჩენის დროს, ძველად იტყოდნენ, ის ღმერთის გამოგზავნილია მიცვალებულის სულის წასაყვანადაო. ასეთი უგუნურება სწამდა ადამიანს განათლების დაბალ საფეხურებზე, მაგრამ როდესაც შეისწავლეს ცის მნათობთა გარეგნობა, იმათი მოძრაობის კანონები, მაშინ ასტროლოგიაც გამოეთხოვა წუთი სოფელს, და კომეტების შიშიც გაქრა განათლებულ კაცის

თვალში. კომეტების მოგზაურობას თავისი კანონიერი პერიოდულად, რამდენისამე განსაზღვრულ წლის შემდეგ გამოჩნდებიან ხოლმე დედამიწაზე, როდესაც იმას მოუახლოვდებიან, და შემდეგ რამდენისამე წლით იკარგებიან თვალთაგან. ზევით ნახსენები გალლეის კომეტა, მაგალითად, ყოველთვის 75 წლის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე და არავისთან არავითარი ანგარიშები არა აქვს, არც არავის ნებაზე შეუძლია მოგზაურობის დრო შესცვალოს — ხან აღრე გვეწვიოს, ხან გვიან..

როგორც ზემორე ნათქვამიდან სჩანს, სინათლესაც შესძლებია სიბნელის შეტანა ადამიანის გონებაში, იმასაც შეუჩერებია ოდესმე ადამიანის წინსვლა, მაგრამ ახალ ცოდნის ნათელმა ეს სიბნელეც გაჰფანტა, და ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმეში დაუფასებელი დეაწლი მიუძღვის ტელესკოპს, რომლის შემწეობითაც სინათლის სხივები შორეულ საგნებს გვიახლოვებს. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სინათლის სხივის მოღუნულობას, მის დამოკიდებულებას ლუპასა და სხვა ოპტიკურ შუშებთან და სარკეებთან. ეს მოვლენა კიდევ უფრო საყურადღებო ხდება ჩვენთვის მხედველობის პროცესში, რასაც თვალის შესწავლის დროს გავიცნობთ.

ი. მოსეშვილი.

(შემდეგი იქნება)





საქართველოს
საბჭოთაო
წიგნობა

მექუღე.

(იგავი)



რთ მექუღეს პატარა შეგირდი ჰყავდა. ამ შეგირდ-
მა შენიშნა, რომ მისი ოსტატი მუღამ ერთნაი-
რის ხალისით და გულმოდგინეობით არა მუშაობ-
და: დრო იყო რომ დღეში ხუთი კუღის შეკერ-
ვის ახერხებდა და ზოგჯერ ერთსაც ვერ მოას-
წრობდა.

პატარა შეგირდმა ითმინა, ითმინა და ბოლოს გაუბედა
კითხვა ოსტატს:

— ოსტატო, რა მიზეზია, რომ ხან დიდი ბეჯითობა გე-
ტყობა მუშაობაში და ხან მეტის-მეტს სიზარმაცეს იჩენ?

— ეგ სულ ჩემის კუჭის ბრალიაო,— მიუგო მექუღემ.

— როგორ თუ კუჭისა?

— აი, შვილო, როგორ: როცა კუჭი მშვიერია, სულ იმას
ჩამჩიჩინებს— მკლავი მარდად გაიქნე, ნემსი აამოძრავე, თო-
რემ ლამის ხელში დაგიფანჯდესო; თუ მაძლარია— სულ სხვას
გაიძახის: დაწყნარდი, რას გაუშმაგებიხარ, რა მძიმედ ამო-
უგდე, ხელში არ გიჩხვლიტოსო.



რ ე ბ უ ს ი



ს



ე

ნაკვებ-
სახელი.

მ


მ



უ



ბ



ს

ჩემი ძული
რა იქნება
ქმრისა.



ს



ს


ცხვრის ძაბილი



ფაქურა

300

კახსი ანუ



”

ჩემი მული
კურის რა იქნება?



ნ



მე-10 №-ში მოთავსებულ შარადის და რიბუსის აღსნა:
თბილისი.
გეშინოდეთ იმისი, ვისაც თქვენი ეშინია.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ

на газету



„ЗАКАВКАЗСКАЯ РЪЧЬ“

(Годъ изданія третій)

Главная контора изданія проситъ гг. подписчиковъ записаться на газету своевременно, чтобы можно было во время заготовить печатные адреса.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ домъ на годъ въ Тифлисъ: 6 руб. — полгода 3 р., 50 коп., — 3 мѣсяца 2 р., — 1 мѣсяць 75 коп. — Въ провинціи 8 р., въ годъ — полгода 4 р. 50 к., — 3 мѣсяца 2 р. 25 к., — 1 мѣсяць 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ главной конторѣ газеты — на эриванской площади, въ домѣ Харазовой а также у всѣхъ казначеевъ и кассировъ казенныхъ и частныхъ учреждений — причеиъ казначеи и кассиры получаютъ за труды 5 проц.

Лица, подписавшіяся на годъ получаютъ газету въ декабрѣ безплатно.

Плата на заграничную подписку вдвое больше провинціальной

Плата за объявленія: строка петита впереди текста — 15 к. послѣ текста — 10 к. Извѣщенія о зрѣлищахъ впереди текста — 20 к.; съ объявителей въ Кавказа взывается впереди текста — 24 к., позади — 12 к.

Адресъ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Р. Д. Бибіевъ

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. И. Амираджиби.

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

99

(Годъ VI-й)

Подписная цѣна:

Съ доставкой въ Тифлисъ:		Съ пересылкой въ другіе города:
На годъ 6 р. — к.		На годъ 8 р. — к.
На полгода 3 р. 50 к.		На полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. За границу — вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній — 1 руб., съ иногородняго на городской — 50 коп.

Объявленія въ предѣлахъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ: въ С.-Петербургѣ, Вольная Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисъ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

საქართველო სუბსტივიანი უნივერსი

ნაშრომები

წილნაწი VII

წილნაწი VII

გამოვა 1911 წელს იმავ პრეზიუმით.

ფასი ფლიუტაჟად:

მონდელთათვის 12 წიგნი 3 მანეთი 1) (მცირე ფლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთად, მონდელთა დამცირე ფლოვანთათვის, 36 წიგნისა — 5 მანეთი.

ნახევარის წლით ვინც გამოაწერს, ორივე ერთად — 3 მანეთი.

სახელად ხელის მოძღვრების მიეცემათ: 1) ლევ ტოლსტოის მოთხრობა „მეცხეშობა რე სიხრმე“, თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით 2) ბიოგრაფიით 2) რეველ მოთხრობათა კრებულად.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“ სარედაქციადი, ვოლოგინის პრესა. სახ. № 8 და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.